# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 23 ივნისი 2001 №116 (1389) | ფასი 50 თეთრი




მესამედ „ლინფილდი“ „ტორპედოს“ და მის მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს ერგო

ნუკრი მაჭარაძის ფოტო

# ლინფილდი წილში ჩაგვიჯდა

## ჩრდილოირლანდიელები ქართულ გუნდს მესამედ ეთამაშებიან

გუშინ ჟენევის სასტუმრო „ნოგა ჰილტონში“ გამართულმა კენჭისყრამ ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპთა მონაწილენი დააწყვილა.

წილისყრამ ქართულ კლუბებს მეტოქეებად ძველი ნაცნობი, ჩრდილოირლანდიური „ლინფილდი“, მალტური „ბირკირკარა“ და ბელარუსული „ბატე“ არგუნა.

ცნობილია, „ლინფილდ“ – „ტორპედოს“ გამარჯვებულის მოწინააღმდეგეც: ისევე, როგორც 8 წლის წინ, ბელფასტელთა ძლევის შემთხვევაში საქართველოს ჩემპიონს დანიურ „კოპენჰაგენთან“ მოუწევს შემდეგ წრეში გასასვლელად ბრძოლა.

ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

**ლინფილდი – ტორპედო**

ბელფასტი. უინძორ პარკი. 18 ივლისი

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

**ბირკირკარა – ლოკომოტივი**

ვალეტა. ტა ქალი. 9 აგვისტო

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

**დინამო – ბატე**

თბილისი. ეროვნული. 9 აგვისტო

იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდები



„ლინფილდის“ მწვრთნელი დევიდ ჯეფრი: საქართველოში წასვლის დროა

ბაჩუკი ჭილაძის ფოტო

# ორშაბათს ჩოგბურთელები 124-ე ოლიმპიადას დაიწყებენ



უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი, ამერიკელი პიტ სამპრასი წლეულსაც თუ გაიმარჯვებს, ტურნირის აბსოლუტური რეკორდსმენი გახდება

ორშაბათს ლონდონის მსოფლიოში ყველაზე ცნობილ საჩოგბურთო კომპლექსში, „ოლ ინგლენდ ტენის & კროკეტ კლაბში“ სეზონის მესამე, პრესტიჟულობით კი პირველი დიდი სლემის ტურნირი — უიმბლდონი დაიწყება. 124-წლიანი ისტორია, აურაცხელი საჭირო თუ არასაჭირო, ნამდვილი ინგლისური კონსერვატიზმით გაჯერებული ტრადიცია, 12-მილიონდოლარიანი საპრიზო ფონდი — ყველაფერი ეს ბალახის კორტებზე მიმდინარე ჩემპიონატის უცვლელ და უსაზღვრო პოპულარობას განაპირობებს როგორც ქომაგთა, ასევე სახელის მოხვეჭაზე მეოცნებე ჩოგბურთელთა შორის. იქნებ აშშ-ის ღია პირველობაზე მეტ მწვანეებს არიგებენ, თიხნარზე თამაშის ესპანელი და სამხრეთამერიკელი ოსტატები კი „ოლ ინგლენდ კლაბში“ ჩასვლას ორჯვირიან შვებულებას ამჯობინებენ, მაგრამ თუ ლეგენდარულ ჯიმი კონორსს დავესესხებით, უიმბლდონი დღესაც „ჩოგბურთის ოლიმპიადად“ რჩება.

წლევანდელი გათამაშების ბადე, უიმბლდონის ყველა ჩემპიონი, რეკორდსმენები და ტურნირამდელი მიმოხილვა მერვე-მეცხრე გვერდებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოკომოტივის ახალი სისხლი

## ვიცე-პრეზიდენტმა შენვაში გაამართლა

... ის უკვე მწვრთნელია, ვიცე-ჩემპიონთა მოთამაშე დამრიგებელი. რკინიგზელთა ვარჯიშზე მისული უცბად ვერც კი მიხვდები, დანარჩენი მოთამაშეებისგან ვერც გამოარჩევ. ბუცები, გეტრები, შავი ტრუსი და ხუთნომრიანი თეთრი მაისურა აცვია. თანაგუნდელებით გარშემორტყმული ხმადაბლა ლაპარაკობს.

... და მაინც მიხვდები, რომ ეროვნული გუნდის ყოფილი კაპიტანი კახა ცხადაძე დღეს ვარჯიშს არ აპირებს. ამაზე მისი ნაიარევი, შეუხვეველი მუხლი მიგანიშნებთ და კიდევ მარჯვენა ხელის ორ თითში მოქცეული ფურცლები, სადაც წვრთნის გეგმაა ჩამოწერილი.

არა, კახა ცხადაძე არ ვარჯიშობს. მან ამპლუა შეიცვალა, ამიერიდან საწვრთნელ პროცესს უხელმძღვანელებს.

ყველაფერი კი აქედან დაიწყო: „ლოკომოტივიდან“ გივი ნოდიას წასვლის შემდეგ რკინიგზული კლუბის კრებაზე სერგო კოტრიკაძე წამოდგა და... „ჩვენ დიდხანს გვითამაშია ფეხბურთი. ქომაგი გვიხარებია და გამარჯვებები მოგვიტანია. გამოცდილება დიდი გვაქვს, მაგრამ იმასაც ვაღიარებთ, რომ დროს ჩამოვრჩით. ჩვენმა მატარებელმა ჩაიარა. დღეს ჩვენ გზა ევროპაში ნათამაშევ ლეგიონერებს უნდა დავუთმოთ. ადრე ჩვენგან სწავლობდნენ, დღეს კი გვერდში დავუდგეთ და მათგან ვისწავლოთ. ეს იქნება მართალი გზა“.

სერგო კოტრიკაძის სიტყვებმა ეფექტი მოახდინა. „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელებმა კახა ცხადაძეს გუნდი ჩააბარეს.

არავინ იცის, როგორი იქნება დებიუტი. არ არის გამორიცხული, კახა ცხადაძემ ინანოს კიდეც, მაგრამ მან გზა თავად აირჩია. მწვრთნელობას კი ბევრი სევდა და ცოტა სიხარული მოაქვს.

– ვარჯიში იწყება. კახა ცხადაძე თავად ანიშნებს ფეხბურთელებს რა და როგორ უნდა გააკეთონ. ის ჯერ ითხოვს, მერე ნელ-ნელა ხმას უმაღლებს, ბოლოს მოთხოვნაზე გადადის. სწრაფად, ახტი, პასი...

ცხადია, უჭირს ახალგამოცხვარ მწვრთნელს. ფეხბურთელთა უმრავლესობა სულ ცოტა ხნის წინ მისი თანაგუნდელი იყო. ერთად იბრძოდნენ მოედანზე.

სერგო კოტრიკაძეს მეკარეები ცალკე გაჰყავს და პირველი სიახლეც თვალში გეცემა. ხუთი მეკარიდან გიორგი ლომაიას გარდა ვერავის იცნობთ. არსად ჩანს დავით ასლანაძე.

— სად წავიდა? — ვეკითხებით კლუბის თანამშრომლებს. პასუხს ვერავინ იძლევა. ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

— სად წავიდოდა იმერელი კაცი. იმერეთშივე ეძებეთ, წყალტუბოში, ანაც ზესტაფონში. თავისი აზრი შემოგვაწია გულსუნდა ღუნდუამ.

ვარჯიში გახურდა, მაგრამ თვალს კიდევ ვიღაც ძალიან ნაცნობი აკლია. ჰო, მურთაზ შელია არ ჩანს. ისევ დუმილი, ვერავინ ამბობს, წავიდა თუ არა შელია.

სულ 31 ფეხბურთელია ცხადაძის განკარგულებაში, თუმც უცნობი და ახალგაზრდაც ბევრია. სამაგიეროდ, რამდენიმე ახალწვეულის ცნობა არ გვიჭირს. დღეს რკინიგზელებთან არიან, ალბათ, ჯერაც ბათუმელები — გელა ქორიძე და ზვიად პაპიძე, „სიონიდან“ წამოსული კოტე მეტრეველი, მერანელები — იოსებ დევიძე და გიორგი დავითნიძე. ამათ შემხედვარეს ძალიან მიკვირს, ვინლა დარჩა „მერანში“? ბაჯელიძე და ჭინჭარაული ხომ „დინამოში“ ვარჯიშობენ.

აქვეა მამუკა წერეთელი, რომელიც ჩუმად, სიტყვის ამოუღებლად ვარჯიშობს, და თურქეთიდან მობრუნებული მერაბ ძოძუაშვილი.

ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი, ბალაშვილი, ჭიჭვეიშვილი, ზაზა ლაცაბიძე, დათუაძე, კაიდარაშვილი, სალუქვაძე... მოკლედ, „ლოკომოტივის“ ნაცადი გვარდიაც მწყობრშია.

სანამ ფეხბურთელები ოფლს იღვრიან, იქვე გვერდით ხაზთან ჩამწკრივებული კლუბის მუშაკები უეფას თასის წილისყრაზე საუბრობენ.

„დინამოს“ უფრო ძლიერი მეტოქე შეხვდა, თქვა ბადრი მჟავანაძემ. „დინამოს“ ევროტურნირებზე მონაწილეობის მეტი გამოცდილებაც აქვს, დაამატა გია ჯიშკარიანმა.

ჯერჯერობით უცნობია, გასინჯვაზე მყოფი მოთამაშეებიდან „ლოკომოტივი“ ვის დაიტოვებს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობა ერთი კვირაში გაირკვევა. 1 ივლისს რკინიგზელები უცხოურ შეკრებაზე მიემგზავრებიან და ბულგარეთში უკვე დაკომპლექტებული გუნდი წავა.

ამასობაში კახა ცხადაძე ხმას იმაღლებს. გაიტანე, პასი, კარგია, არ ვარგა. მწვრთნელი ყველაზე მომთხოვნი ვეტერანების მიმართაა. გოგიჩაიშვილსა და ანჩაბაძეს აჩქარებს. ამის შემყურე ახალგაზრდები ცდილობენ, თავკაცისგან შენიშვნა არ მიიღონ.

ცხადაძის ვარჯიშებში ახალი თითქოს არაფერია, მაგრამ გაცილებით ინტენსიურია. ფეხბურთელები სულ ბურთთან არიან. კვადრატები, გარკვეული სავარჯიშო კომპლექსები, ყველაფერი ბურთით კეთდება. დავალება კონკრეტულია, უთავბოლო სირბილი — თავიდან აცილებული.

„ლოკომოტივს“ უეფას თასის წილისყრაზე კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ ლვაბერიძე წარმოადგენდა. კარგი ფეხი ჰქონია ვიცე-პრეზიდენტს, ამაზე უფრო სასურველი მეტოქე ვინ უნდა შეგვხვედროდაო, ამბობენ რკინიგზელები.

ვარჯიში მთავრდება. სიცხე, გაოფლილი ფეხბურთელები და ალაგ-ალაგ შეყვითლებული ბალახი...

ხვალ ისევ თავიდან უნდა დაიწყოს ყველაფერი. ისევ სიცხე, სირბილი და ასე დაუსრულებლად...

**მამუკა კვანტალიანი**



კახა ცხადაძე:
ძნელი ყოფილა მწვრთნელობა



ლოკომოტიველთათვის კახა ცხადაძე (მარჯვნივ) მარტო თანაგუნდელი აღარაა



„ლოკომოტივის“ ახალწვეულებში მამუკა წერეთელიცაა (მარჯვნივ)

# მერანიდან ზვერი წავა... დევაძეც და ფოცხვერიაც

**თბილისურმა** „მერანმა“ „სინათლეს“ „შევარდენი“ რომ არჩია, უკვე მოგახსენეთ. ისიც ითქვა, გუნდიდან ექვსი-შვიდი ფეხბურთელი მიდისო. დევიძე და დავითნიძე „ლოკომოტივში“ ვარჯიშობენ, ბაჯელიძე და ჭინჭარაული — „დინამოში“.

გუშინ კი კიდევ ორი ფეხბურთელის ვინაობა გაირკვა, რომლებიც მეცამეტე ეროვნულის დასაწყისიდან ავჭალელებს დააკლდებიან. ერთი, თავდამსხმელი მიხეილ ფოცხვერია გახლავთ, რომელმაც მტკივანი მუხლი საბოლოოდ მოიშუშა და ახლა ინდივიდუალური პროგრამით უკრაინაში ვარჯიშობს.

კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, ფოცხვერიას ამ დღეებშივე შეუერთდება გუნდის ძირითადი მეკარე აკაკი დევაძე. კაკოც სრულად განიკურნა ტრავმისგან და ახლა მთელი დატვირთვით წვრთნა შეუძლია.

ორივე კარიერას რუსეთში გააგრძელებს, გვითხრეს „მერანის“ წარმომადგენლებმა, მაგრამ თუ მეცამეტე ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებთ, მაშინ, ალბათ, ორივეს დავიბრუნებთო.

ჯერჯერობით უცნობია ახალწვეულთა ვინაობა. სამაგიეროდ, კვლავ მერანელი იქნება უკრაინელი ანდრეი მუხინი.

„მერანში“ ყველაფერი 25 ივნისს დალაგდება. ორშაბათს კლუბის ხელმძღვანელები და მწვრთნელები საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ და ახალწვეულთა ვინაობაც მაშინ გაცხადდება.

**დათო დანელია**

## შოთა კიტია

კაცები მიდიან, რჩება საქმე და სახელი, რომელიც არ ავიწყდებათ, ახსოვთ თაობებს და მრავალი მიაგებს პატივს. შოთა კიტია, 1949-60 წლებში თბილისის „დინამოს“ მეკარე, ვლადიმერ მარღანიას დუბლიორი იყო და იშვიათად უწევდა ქვეყნის უპირველეს გუნდში თამაში. 6 სეზონში სულ 19-ჯერ ითამაშა, თუმცა ჩინებულ პიროვნებასა და სპორტსმენს არასოდეს დაჰკლებია დამფასებელი. ზუგდიდში დაბადებულ-გაზრდილი კარიერის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა და თავის ცოდნას და გამოცდილებას ახალგაზრდებს უზიარებდა. მადლიერებით გამხსენებელი არაერთი დარჩა ღვაწლმოსილ კაცს.

## ნორვეგია

XII ტური

ბრანი 0:0 მოლდე

# ვიცით, რომ ხორვატია

**მეხუთე** დღეა, ახალი სეზონისთვის ემზადება „ბათუმი“. უკვე გაუწყეთ, რომ გუნდი გელა ქორიძემ, ზვიად პაპიძემ და ივანე მახარაძემ დატოვეს. მათ გარდა, „ბათუმიდან“ კიდევ სამი ფეხბურთელი წავიდა — ნახევარმცველები ამირან მუჯირი და ავთანდილ ღლონტი, ფორვარდი გოჩა ყულეჯიშვილი. ასეთივე სურვილი ჰქონდათ მეკარე გრიგოლ ჭანტურიასა და თავდამსხმელ შალვა აფხაზავასაც, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრეს.

„ბათუმში“ ახლა 35 ფეხბურთელი ვარჯიშობს, ფაქტობრივად, გუნდი ხელახლა კომპლექტდება. ზღვისპირელთა თავკაცი ასლან ბალაძე დღე-დღეზე უცხოეთიდანაც ელის შევსებას — უკრაინიდან, ტერნოპოლის „ნივიდან“ ავთანდილ გვიანიძე და ავთანდილ სიხარულიძე ჩავლენ ბათუმში, კლუბის ხელმძღვანელობას კიდევ ერთხელ დაელაპარაკებიან და, ალბათ, აჭარაშიც დარჩებიან. „ბათუმის“ სელექცია თურმე ბალკანეთსაც გასწვდა — ასლან ბალაძესთან ერთი ხორვატიც ჩამოვა, რომლის ვინაობა ჩვენთვის ჯერ არ გაუმხელიათ. რაც შეეხება შინაურებს, ბათუმელებს ბოლნისის „სიონიდან“ ნახევარმცველ ბესიკ შენგელიას დაბრუნება სურთ. პირველ საკონტროლო-ამხანაგურ მატჩს კი „ბათუმი“ 29 ივნისს სტუმრად ფოთის „კოლხეთთან“ გამართავს.

**დავით თავართქილაძე**


იყიდება როტვეილერის ლეკვები

☎ 39 42 65

(საღამოს, $19^{00}$-$21^{00}$)



# ვნახოთ-მწვრთნელი

**ეს** ამბავი ბევრჯერ თქმულა. მგონი, კიდეც დაწერილა.

თბილისს ხუთიოდ წლის წინ ნასტუმრებმა „ლევერკუზენმა“ თან რუდი ფიოლერი იახლა.

ფიოლერი ახლა გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრნელია, მაშინ კი ახალი მიტოვებული ჰქონდა თამაში და ჯერ არც „ლევერკუზენის“ ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.

— რად მუშაობთ „ბაიერში“? — ჰკითხეს ფიოლერს და პასუხი იქვე იყო.

— რუდი ფიოლერად — ახლო წარსულის ვარსკვლავმა ეს ხუმრობაგარევით, მაგრამ მაინც სავსებით სერიოზულად თქვა.

მაშინ საქართველოს ნაკრებს მთავარი მწვრთნელი ახალგამოცვლილი ჰყავდა. მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დღემდე მუშაობს კაცი, რომელიც მაშინაც ფიოლერის კოლეგა იყო და ასეა დღესაც:

ბოლო ხანს ალექსანდრე ჩივაძე ქართულ ფეხბურთში საშა ჩივაძედ მუშაობდა, ორიოდ დღის წინ კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობასაც დათანხმდა.

მას შემდეგ, რაც ჩივაძე საქართველოს ნაკრებს აღარ წვრთნის, ძნელია მისი საქმიანობა სხვაგვარად აიხსნას: ის არ არის დე ფაქტო (და არა დე იურე) ვიცე-პრეზიდენტი, ტექნიკური დირექტორი, ნაკრებთა კომიტეტის უფროსი თუ მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე. ანუ, ყველაფერი ის, რასაც მას, როცა დასჭირდებათ და მოესურვებათ, აბრალებენ.

და თუ ასე არ არის, მით უარესი ჩივაძის კანდიდატურის მომხრეთათვის. სხვა შემთხვევაში ჩივაძის კანდიდატურის განხილვა უაზრო ხდება, რადგან ზოგადად ქართული ფეხბურთის და კონკრეტულად ნაკრების წარუმატებლობაზე პასუხისმგებლი, ცხადია, ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურები და მათი ხელმძღვანელი (ამ შემთხვევაში, ჩივაძე) უნდა იყვნენ.

— ვიფიქრე და გადავწყვიტე, დავთანხმდეო — თქვა ჩივაძემ გუშინდელ „სარბიელთან“ ინტერვიუში. სწორედ რომ უფიქრალად მიღებული გადაწყვეტილება უფრო ჩანს.

ასე მგონია, კარგა ხანია, ჩივაძეს არც უფიქრია საკუთარ ფუნქციაზე. დაფიქრებულა? წესით არ უნდა დაფიქრებულიყო, რადგან არ სთხოვდნენ, სიტუაცია ფიქრს არ აიძულებდა.

მთელი ფუნქციონერული მოღვაწეობის მანძილზე ის სამჯერ აიძულეს სერიოზულად ეფიქრა: სამჯერვე ჩივაძე წაგებული გამოვიდა: ორჯერ გადადგა, ამჯერად, მესამედაც საკუთარ თავდაპირველ გადაწყვეტილებას დაუპირისპირდა.

პირველად ჩივაძე ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგა, 1996 წელს სამწლიანი მუშაობის და ოცდღიანი საახალწლო ფიქრის შემდეგ.

მეორედ, ფედერაციის პრეზიდენტობისთვის გათამაშებულ ყრილობა-ფარსში ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა 1998 წელს:

მაშინ არჩევნების მეორე ტურში გასულმა პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა გამოაცხადა, გზას მერაბ ჟორდანიას ვუთმობო.

ამ საქციელმა, მიუხედავად ჩივაძე-ჟორდანიას ალიანსზე წინასაყრილობო მითქმა-მოთქმისა, ძალიან ბევრი სახტად დატოვა.

სამაგიეროდ, თავად ჩივაძე, ფედერაციის ბევრი ადრინდელი მუშაკისგან განსხვავებით, უსამსახურობას გადარჩა.

მესამედ ჩივაძე ახლა დააფიქრეს და ისევ გადადგა ნაბიჯი, რომელიც საეჭვოა, საკუთარი ნებასურვილით გადაედგა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკრების მწვრთნელობაზე კატეგორიული წინააღმდეგი იყო, შესარჩევი ციკლის ბოლომდე მის თავკაცობას დათანხმდა.

ჯერ ასე იყოს და მერე ვნახოთო. თან ესეც დააყოლა.

ისევ ვნახოთ!

ალარ გათავდა ეს ვნახოთ, ველარ


სარბიელი
სპორტული გაზეთი
საქართველო 0:2 ინგლისი
მეხუთე მარცხი ზედიზედ
სირცხვილი მრავნული დღესასწაულის ნაცვლად
მშვიდობით, საშა
- მეხუთე მარცხი ზედიზედ
- 1:11 ბოლო ხუთ მატჩში
- ბოლო სამი თამაში უგოლოდ
- საფრანგეთი ოცნებადვე დარჩა

ნაკრების მწვრთნელი უნდა შეიცვალოს!

ეს ერთხელ უკვე იყო: 1996 წლის 10 ნოემბრის „სარბიელი“

ვნახეთ ვერაფერი სახეირო და ამან მოგვინელა.

ვერ ვნახეთ და მორიგ სანახავად, სასინჯად ფედერაციამ საზოგადოებრივ აზრს კარგახნის დაკონსერვებული ჩივაძის კანდიდატურა დაუპირისპირა.

თითქოს ჩივაძე შეუვალი კანდიდატურაა, რადგან უმეტესობის ცნობიერებაში ის მაინც უფრო დიდ ფეხბურთელთან, დიდ პიროვნებასთან ასოცირდება. ამავე უმეტესობას უფრო იმისა ეიმედება, რომ დიდი პიროვნებები უბრალოდ არ ხურდავდებიან.

ჩვენს დაბეჩავებულ ნაკრებს კი პირველ რიგში ძლიერი მწვრთნელი სჭირდება. ჩივაძე კი დიდი ხანია, აღარ არის მწვრთნელი. არც ნაკრების მწვრთნელობამდე ყოფილა და არც მას შემდეგ. არცერთი დღე ალექსანდრე ჩივაძეს მწვრთნელად სხვაგან არ უმუშავია. არც ერთი დღე, თქვენ წარმოიდგინეთ, თუნდაც ბავშვებში, როგორც ამას აკეთებს ბევრი, ვისაც დიდ მწვრთნელობაში ხელი მოეცარება.

მას შემდეგ ჩივაძეს მწვრთნელობა არსად უსწავლია. არ დასწრებია უეფას არცერთ მწვრთნელთა სემინარს, მათ შორის არც საქართველოში გამართულს.

და ჩივაძე მაინც ამბობს, ახლა უფრო მეტი ვიცი, ვიდრე მაშინ, ვიცოდი, როცა ნაკრებს ერთხელ უკვე ვწვრთნიდიო.

საიდან?

არგუმენტი გაინტერესებთ? მას შემდეგ ნაკრების თითქმის ყველა თამაში ვნახე და ახლა მეტი ვიციო.

მიიხედ-მოიხედეთ, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რამდენი იცით ისეთი, მას შემდეგ თითქმის ყველა თამაში რომ ნახა? შეიძლება ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატს არგუმენტად ეს შეეშველოს?

უფრო მეტიც, რამდენი იცით, ვინც არა მხოლოდ ნახა, არამედ უშუალო მონაწილეობაც მიიღო თითქმის ყველა მატჩში?

თუ მაინც და მაინც სახელდახელო მწვრთნელი უნდა დაინიშნოს ვითომდა უცხოელის პოვნამდე, ეგებ, ბრიტანული პრაქტიკის გახსენება სჯობდეს და რომელიმე ასაკოვანი და გამოცდილი ფეხბურთელთაგანი მოისინჯოს ციკლის ბოლომდე.

ცხადია, არავინ ცდილობს იმის მტკიცებას, რომ ეს იდეალური, სასურველი ან თუნდაც მისაღები ვარიანტია. მაგრამ ფედერაციას რომ ასეთი გადაწყვეტილება მიეღო, ეგებ, გვეფიქრა, ეს რაღაც ახალია და არა მეორე წრეზე წასვლაო.

ახლა კი ყველაფერი ნათელია. ჩივაძის დანიშვნა ან დროის გაყვანის, ანაც სწორედ მეორე წრეზე წასვლის მცდელობაა. მის შემდეგ ისევ დადგება სხვათა, უკვე უნაყოფოდ ნაცადთა ჯერი.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩივაძეც როგორღაც ბოლომდე დანიშნულიც არაა. ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ამბობს, რომ ჩივაძე არ არის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ნაკრებს საამმატჩებოდ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ნაკრებთა კომიტეტის უფროსი ალექსანდრე ჩივაძე მოამზადებს.

რას ნიშნავს ეს? რა გაურკვევლობა და აბდა-უბდაა? შეუძლია კი საერთოდ ჩვენს ფედერაციას მოხსნას ან დანიშნოს (გინდა ერთი და გინდა, ორი) ისე, სარკვევ-საძიებელი არაფერი დარჩეს?

დანიშნეს თუ არ დანიშნეს, პოპულარული გახდა კითხვა, რას ფიქრობთ ჩივაძის დანიშვნაზე? ვის უნდა დავუსვათ ეს კითხვა? ყველას, ოღონდ არა ფეხბურთელებს.

ფეხბურთელთა აზრის გამოკითხვა ძველი დროის გადმონაშთია. დანიშნე და ახლა ეკითხები? რას ეკითხები, ან რა პასუხს ელი?

რომელი გახსოვთ, წინასწარ ეთქვას, ცუდიაო. ყველა ასე სჯის: უკვე დანიშნეს? ემანდ, არაფერი ვაწყენინო, შემადგენლობიდან არ ამომაგდოსო. ან პირიქით, და უარესიც, როგორმე ვასიამოვნო, ეგებ, ძირითადში ჩამრთოსო.

ფეხბურთელი წინასწარ ვერაფერს იტყვის. წინასწარ, ანუ პირველ წაგებამდე, მედიამ უნდა თქვას და არ უნდა წონოს, ახლა ეს რომ ვთქვა ან დავწერო, ვაითუ, მერე ჩემთან ინტერვიუ იუაროსო.

მერამდენედ წაგებული გუნდის თავკაცთან ინტერვიუ გაზეთზე და მკითხველზე მეტად თავად მწვრთნელს სჭირდება საკუთარი მოსაზრებების ერთხელაც თავსმოსახვევად. მკითხველს კი, აუ, როგორ მობეზრდა ეს წაგებებიც და ეს თავისმართლებებიც!

ჩივაძე თავდაპირველად უარობდა. რატომ?

მისი თქმით, არავის სურს ნაკრების ციკლის ბოლოს, საქმეწამხდარზე ჩაბარება. აბა, დავა-კამათი ამაზე შეიძლება!

ჩვენს ეროვნულ გუნდს, ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი აღარ აქვს.

საქმეზე სერიოზულად მოფიქრალ მწვრთნელს სწორედ რომ ასეთ დროს უნდა აწყობდეს ნაკრების სათავეში მოხვედრა. თუ მომდევნო ციკლის ჩათვლითაც არა, თუნდაც დროებით, რადგან ნაკრებთან სამუშაოდ, მის მოსარჯულებლად უკეთესი მომენტი ძნელი საპოვნელია.

— რა აკლდა, აკლია და მოაკლდება საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, უცხოელს თუ ქართველს, ყოველთვის?

— ნაკრების მოსამზადებლად აუცილებელი ერთ-ერთი პირობა, ნორმალური სპარინგ-პარტნიორი.

დარჩენილია მატჩები უნგრეთთან, ლიტვასთან (თანაც საშინაო) და რუმინეთთან. საკუთარ ნაკრებზე შეწუხებული ფედერაცია ამ მატჩებს ქარს კი არ გაატანდა, მომდევნო ციკლისთვის მოსამზადებლად გამოიყენებდა, სომხეთ-აზერბაიჯანთან ამხანაგური მატჩების ნუსხას ამათაც შემატებდა.

მაგრამ ფედერაცია, როგორც გვარწმუნებს, უცხოელ მწვრთნელს ეძებს და ჩივაძე დროებით დაიხმარა.

თუ მაინც და მაინც უცხოელია პანაცეა, ისიც უნდა ითქვას, როგორი უნდა იყოს უცხოელი, თორემ მიხაილ ფომენკო ან ვლადიმირ ფედოტოვი რომ უცხოელები არიან, რა მერე, განა, მხოლოდ ეგ კმარა?

თუ მართლა ეძებენ ვინმეს, ეს ვინმეც „ვინმე“ არ უნდა იყოს.

არ უნდა იყოს ისეთი, ვისაც კატეგორიული უარის შემთხვევაშიც დაითანხმებენ, ოღონდ დადექი, მოიგებ, წააგებ, კაცი ხმას არ გაგცემსო.

უნდა მოიძებნოს ისეთი, ვინც თავის ყველა საქციელზე პასუხისმგებელი გახდება, პოზიციას ორ დღეში ერთხელ არ გამოიცვლის, შემადგენლობის შერჩევისას არაკომპეტენტურს არავის ჩაირევს და ფეხბურთელთა ჯგუფიც (თუნდაც სამ-ოთხკაციანი) არ (თუნდ ვერ) აუჯანყდება.

მაგრამ ასეთის პოვნა ძალიან გაჭირდება. მიზეზი უბრალოა, ის, ვინც ამხელა პასუხისმგებლობას იკისრებს, შესაბამისს მოსთხოვს ფედერაციას. აქ მხოლოდ გასამრჯელოზე როდია ლაპარაკი. საფეხბურთო მეურნეობის გაუმართავად, შეკრებათა თუ ამხანაგური მატჩების განრიგის მოუწესრიგებლად შედეგს არცერთი ჭკუათმყოფელი არ დაგპირდებათ.

ხოლო თუ არგენტინაშიც ასე აპირებენ მწვრთნელის ძებნას — ვნახოთო, რაღა ასე შორს მივდივართ, ვნახოთ-მწვრთნელების უგრძესი და ულევი სია მეზობელი სახელმწიფოს დედაქალაქშიც იოლი მოსაძიებელია. იქაურებთან საერთო ენის პოვნაც უფრო უიოლდებათ ჩვენებურებს, უფრო იაფიც დაუჯდებათ მათ, ქართულ ფეხბურთს კი, ცხადია, ძალიან ძვირი.

ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიამ აღიარა, რომ დავით ყიფიანზე და რევაზ ძოძუაშვილზე უკეთესი მწვრთნელი საქართველოში არ არის. ესე იგი, არც ჩივაძეა მათზე უკეთესი. მაშინ რა ხდება?

ჟორდანიასვე ნათქვამიდან გამოდის, რომ ჩივაძის დანიშვნა მცდარი, უკანგადადგმული ნაბიჯია. ყველა ასეთ ნაბიჯზე კი პასუხი ჩივაძე-მწვრთნელზე მეტად ჩივაძე ვიცე-პრეზიდენტმა, თავად პრეზიდენტმა და ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უნდა აგონ.

ხოლო ის, ვინც ასეთ დროს კიდევ რისკზე ფიქრობს, დიდ საქმეს სათავეში არ უნდა ედგეს.

**მახტანგ მჭიძაძე**

---

გიო ახვლედიანი




## მიმდინარე მომენტი

საქართველოს ნაკრებს უკვე ჰყავს მწვრთნელი. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე გუნდს ჩაიბარებს სამი თამაშით, ანუ ახალ შესარჩევ ციკლამდე. ასეა გამოცხადებული.

სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ სამ თამაშზე, ასე რომ უნდოდა რეზო ძოძუაშვილს, ნაკრებს ჩივაძე გაიყვანს, რომელსაც საერთოდ არ უნდოდა გუნდის სათავეში ყოფნა.

ამ ჟურნალისტურ ფანდებს რომ შევეშვათ, უმჯობესია პირდაპირ ვთქვათ, რომ ჩივაძე ერთხელ უკვე იყო ნაკრების მწვრთნელი და პოსტიდან დიდი ხმაურის შემდეგ გადადგა. ეს გასაკვირი არაა, ნაკრების ყოველი ქართველი მწვრთნელი ხმაურით გადადგება ხოლმე. იმიტომ, რომ ჩვენი ფეხბურთის გარშემო სულ ხმაურია.

ბევრისთვის სამწუხაროდ, ჩვენ გვახსოვს, რომ ოდესღაც ბარე ორი ჯილდოს მომგები გუნდები გვყავდა და ფეხბურთის თამაში ვიცოდით.

ხმაურიც ამიტომაა.

მორიგი ხმაურის ფონზე კი, ციკლის ჩასამთავრებლად დაბრუნდა ჩივაძე, ფეხბურთის დიდი ვარსკვლავი, სწორედ ის, ვინც მოგებული გვახსოვს, როგორც ფეხბურთელი, „საბჭოთა პასარელა“. მეტი რაღა ვთქვათ? მწვრთნელად ჩივაძეს უმუშავია ერთადერთხელ, ნაკრების სათავეში იდგა ერთნახევარი ციკლის განმავლობაში და მის ხელში შედგა ორი გახმაურებული გამარჯვება: უელსთან (5:0) და ბულგარეთთან (2:1). ჩივაძემ ორჯერ მოუგო უელსს, ორჯერ წააგო მოლდოვასთან, ორჯერ გერმანიასთან (ჯამში 1:6), ერთხელ ინგლისთან, ერთხელ ბულგარეთთან, ერთხელ იტალიასთან. მისმა გუნდმა ორჯერ მოუგო ალბანელებსაც.

ახლა, წლების შემდეგ ასე ჩანს, რომ ჩივაძის ნაკრები გაწონასწორებული გუნდი იყო, რომელსაც იშვიათად, მაგრამ მაინც ჰქონდა გამონათებები. თუმცა, იმავ წლების შემდეგ უნდა ითქვას, რომ ნაკრების ბირთვი არ შეცვლილა.

მერე ჩივაძე ყიფიანმა შეცვალა, რომელმაც ერთი წააგო და ერთი მოიგო პოლონელებთან, წააგო ინგლისთან და ფრედ ითამაშა იტალიასთან თბილისში.

ახლა ჩივაძე ცვლის ყიფიანს და უნდა ითქვას, რომ ახალი არაფერია. ყიფიანის პირველი გუნდიც საკმაოდ გაწონასწორებული იყო. სხვანაირად რომ ითქვას, საქართველოს ნაკრები ყოველთვის ერთნაირად თამაშობს. ეგებ ტაქტიკა და მზადყოფნა სხვადასხვაგვარია — მაგრამ მისი შედეგები (ბოსკამპის დროის ჩათვლით) თითქმის ერთნაირია.

ეს დარჩენილი სამი თამაში უკვე გამოცხადდა უაზრობად. თუმცა, ყველა ამბობს, რომ ჩავარდნილი ციკლი ახალი ციკლისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა, რომ ჩივაძეს არ უნდოდა ნაკრების მწვრთნელობა და ბრძანებას დაემორჩილა. ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრებული წესების თანახმად, ჩივაძე კვლავ დაემორჩილება ბრძანებას და ახალ ციკლშიც უხელმძღვანელებს ნაკრებს. ეს სავსებით შესაძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ არსად ისე არ არის ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველი, როგორც ჩვენს ქვეყანაში.

# შქრთამოდ და შმილანოდ

## ლინფილდი
**ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია**

დაარსდა 1886 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ბილი მაკკოუბრი
გენერალური მდივანი: დერეკ ბრუკსი
მთავარი მწვრთნელი: დევიდ ჯეფრი
სტადიონი: „უინძორ პარკი" (ტევადობა 28 500)
ქვეყნის ჩემპიონი (44): 1891, 92, 93, 95, 98, 1902, 04, 07, 08, 09, 11, 14, 22, 23, 30, 32, 34, 35, 49, 50, 54, 55, 56, 59, 61, 62, 66, 69, 71, 75, 78, 79, 80, 82, 83, 84, 85, 86, 87, 89, 93, 94, 2000, 2001
ქვეყნის თასის მფლობელი (36): 1891, 92, 93, 95, 98, 99, 1902, 04, 12, 13, 15, 16, 19, 22, 23, 30, 31, 34, 36, 39, 42, 45, 46, 48, 50, 53, 60, 62, 63, 70, 78, 80, 82, 94, 95, 2001
ჩემპიონთა თასზე: 46 მატჩი, 6 მოგება, 14 ფრე, 26 წაგება, ბურთები 50:94
უეფას თასზე: 16 მატჩი, 3 მოგება, 4 ფრე, 9 წაგება, ბურთები 15:38
თასების თასზე: 6 მატჩი, 2 მოგება, 0 ფრე, 4 წაგება, ბურთები 6:11

**რვა** წლის წინ, 1993-94 წლების სეზონში, საქართველოს ჩემპიონი პირველად დაუშვეს ჩემპიონთა თასზე. თბილისის „დინამოს" წარმომადგენელი ჟენევაში ჩავიდა. აი, წილისყრაც... პირველი მეტოქე ჩრდილოირლანდიური „ლინფილდია"!

მაშინ სად იყვნენ „აიაქსი", „მანჩესტერ სიტი" თუ „დანდი". არა, როგორ არ იყვნენ, მაგრამ ამ გუნდებში მოგვიანებით გადასული შოთა არველაძე, ქინქლაძე, ნემსაძე თუ სხვები 1993-ის ზაფხულში „დინამოში" თამაშობდნენ. დაძაბულობა, გამოუცდელობა და ათეულობით გაცუდებული საგოლე მომენტი პირველ, თბილისურ შეხვედრაში და მხოლოდ 2:1. საპასუხო, ბელფასტის „უინძორ პარკზე", 1:1 მთავრდება, „დინამო" შემდეგ ეტაპზე გადის და... დანიური „კოპენჰაგენის" დასახვედრად ემზადება. დიახ, ისევე როგორც გუშინ, რვა წლის წინათაც ჟენევურმა წილისყრამ ჩვენს ჩემპიონს ჯერ „ლინფილდი" და მერე „კოპენჰაგენი" არგუნა. საოცარია!

სადღაც გვქონდა, მაგრამ მას მერე „სარბიელი" მეტად გაიზარდა და ამ პროცესში დავკარგეთ კიდეც. არადა, კედელზე გვქონდა გამოკრული — „დინამოსა" და „კოპენჰაგენის" არშემდგარი მატჩის იმ დროისთვის ძალიან უცხო და ძალიან ლამაზი ბილეთი. არც ის მატჩი ჩატარდა და ბილეთიც სადღაც გაუჩინარდა.

„კოპენჰაგენი" კი ჩვენი ეროვნულის ნაცვლად ბელფასტში ჩავიდა, გასაკვირად დიდი ანგარიშით, 0:3 წააგო, თუმცა მერე ჯავრი შინ იყარა (4:0) და ლიგაში მოხვედრის სურვილით „მილანს" მიუხტა. აღარაფერი გამოუვიდა. მსაჯის მოქრთამვის მცდელობის ბრალდებით კი „დინამო" გათამაშებიდან მოხსნეს.

მოკლედ, რვა წლის შემდეგ... იმდროინდელი მხოლოდ „ლინფილდის" დამარცხება უნდა განმეორდეს.

წინ, კოპენჰაგენისკენ!

**გიგა ძოგახიძე**

---

**ქუთაისის «ტორპედოს» მეტოქე**

# ძოძუაშვილი, როგორც იქნა, ლინფილდს შეხვდა

*რამდენად სასურველი გამოდგა ჩვენი ჩემპიონისთვის წილისყრის შედეგები? ალბათ, უკეთესიც შეიძლებოდა, მაგრამ უარესიც არ იყო გამორიცხული და ამიტომ, რაც ბედმა გვარგუნა, იმას უნდა შევეგუოთ, თამაშებისთვის მთელი სერიოზულობით მოვემზადოთ – ასეთი გახლდათ „ტორპედოს" ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის ცხელ გულზე გაკეთებული კომენტარი. ოდნავ მოგვიანებით კი ქუთაისში გუნდის დამრიგებელმა სახელდახელო პრესკონფერენცია მოაწყო.*


რევაზ ძოძუაშვილი: ორ წრეს გავივლით!

გურამ [illegible] ფოტო

— წილისყრის შედეგით უკმაყოფილონი ნამდვილად არ ვართ. ადრეც მითქვამს, „ტორპედოს" მიზანი ჩემპიონთა ლიგის ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლაა და ახლა ვფიქრობ, ეს სავსებით რეალურია. ყოველ შემთხვევაში, საწყისი ორი ეტაპიდან ჩვენი გუნდის გასვლა-არგასვლის შანსებს თანაბრად ვაფასებ. ცხადია, ჯერ პირველ მეტოქეზე უნდა ვიფიქროთ. „ლინფილდი" ქართულ გუნდებს ადრეც შეხვედრია, ჩვენ ვიცით რა დონეზეა განვითარებული ფეხბურთი ჩრდილოეთ ირლანდიაში. მეტოქის ძლიერ და სუსტ მხარეებზე წარმოდგენა გვაქვს, მაგრამ ამას არ ვიკმარებთ. იქაურ პრესას, „ლინფილდის" თამაშების ვიდეოჩანაწერებს მოვიშველიებთ და სათანადო სტრატეგიას შევიმუშავებთ. კარგია, რომ პირველი მატჩი სტუმრად გვიწევს.

**— ბრიტანელებთან თამაშებისთვის სად მოამზადებთ გუნდს?**

— მინიმუმ ათდღიან უცხოურ შეკრებას მოვაწყობთ, ჩემი სურვილია, სადმე მოსკოვის მახლობლად. თუმც ამ საკითხს ცოტა მოგვიანებით გადავწყვეტთ.

**— რვა წლის წინ „ლინფილდი" თბილისში სტუმრობდა „დინამოსთან" და, იშვიათი დამთხვევაა, ამათ შორის გამარჯვებულს „კოპენჰაგენთან" უწევდა თამაში. შარშანწინ „ლოკომოტივი" შეხვდა „ლინფილდს"...**

— მე სწორედ ამ თამაშის წინ გამათავისუფლეს „დინამოდან", გივი ნოდიას ჩემი მომზადებული გუნდი ჩააბარეს... შარშანწინ „ლოკომოტივმა" წარმატებით ითამაშა ბრიტანელებთან. ჩვენც კარგი შანსი გვაქვს, მაგრამ მთავარია სწორად გამოვიყენოთ. მცირე შეცდომის უფლებაც არ გვაქვს.

**— სალიგოდ „ტოპედოში" მოსალოდნელ ცვლილებებზე გვითხარით.**

— ორ ფეხბურთელზე ადრეც გაცნობეთ. ჯინჭარაძე და ვაშაკიძე ალბათ, დაგვტოვებენ. დანარჩენებზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

**— მეკარეები ზოიძე და ტოგონიძე გუნდში არ არიან...**

— მათ კონტრაქტები დაუმთავრდათ, საკუთარი გეგმები აქვთ. ვნახოთ, თუ ისინი არ იქნებიან სხვებს მოვიწვევთ.

**— კერძოდ?**

— დავით გვარამაძეს ველაპარაკებით. ჯერჯერობით გია ჭანტურია და ზვიად სტურუა ვარჯიშობენ ჩვენთან. არ არის გამორიცხული, რუსეთიდან დავით ხმელიძე მოვიწვიოთ. ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**— ამას წინათ გვითხარით, სალიგოდ „ტორპედოს" დავით ყიფიანის გარეშე ვუხელმძღვანელებო...**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დათო დროებით არის ჩამოშორებული მწვრთნელობას. კაცი გადაღლილია, დასვენება სჭირდება. ჩვენს ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა, ერთი გუნდის წევრებად ვრჩებით.

**— უცხოურ შეკრებამდე მარტო ვარჯიშებს დაუთმობთ დროს, თუ საკონტროლო თამაშებსაც გეგმავთ?**

— საკონტროლო თამაშები აუცილებელია. 23 ივნისს „ტორპედოზე" წყალტუბოს „სამგურალს" გავეჯიბრებით, სხვა ქართულ გუნდებსაც შევუთანხმდებით სათამაშოდ. უცხოური შეკრების ადგილზეც, ალბათ, გამოვნახავთ სპარინგ-პარტნიორებს. „ლინფილდთან" პირველ მატჩამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

---

**თბილისის «ლოკომოტივის» მეტოქე**

# მალტაში, ნაცნობ ტა ქალზე

## ბირკირკარა
**ბირკირკარა, მალტა**

დაარსდა 1950 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ვიქტორ ზამიტი
გენერალური მდივანი: ჯო ბრინკატი
მთავარი მწვრთნელი: ათანას მარინოვი
სტადიონი: „ტა ქალი" (ტევადობა 18 000)
ქვეყნის ჩემპიონი (1): 2000
ჩემპიონთა თასზე: 2 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება, ბურთები 2:6
უეფას თასზე: 6 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრე, 5 წაგება, ბურთები 2:17

**წილისყრამ** თბილისის „ლოკომოტივს" მალტური „ბირკირკარა" არგუნა. მალტელები თბილისელებს „ტა ქალიზე" დაუხვდებიან. ეს ის სტადიონია, სადაც ქართულ კლუბს თამაში არ წაუგია, ეროვნულ გუნდს კი მალტის ტურნირზე მარცხიც უწვნევია, ფრეც გაუჩარხავს და გამარჯვებაც უგემია.

„ბირკირკარა" პირველად შარშან გახდა მალტის ჩემპიონი. კლუბი 50 წლისაა და რამდენიმე ლეგიონერიც ჰყავს.

წილისყრის შედეგებით მალტელები უკმაყოფილონი დარჩენილან. მათ წარმომადგენელს უთქვამს: „ლოკომოტივი" ერთობ არასასურველი მეტოქეა, გაცილებით ტექნიკური გუნდია, ვიდრე „ბირკირკარაო".

თბილისის „ლოკომოტივს" კენჭისყრაზე წარადგენდა ვიცე-პრეზიდენტი **ტარიელ ღვაბერიძე**, რომელსაც ჟენევაში შევეხმიანეთ:

— დიდებული და საინტერესო სანახაობის მოწმე შევიქენი. მთელი საფეხბურთო ევროპა ერთად შეიყარა. გეცოდინებათ, მეტოქედ მალტის „ბირკირკარა" გვერგო. ჩემი აზრით, „ლოკომოტივს" პირველი ეტაპის გავლა არ უნდა გაუჭირდეს. უკვე შევხვდი „ბირკირკარას" წარმომადგენლებს. უმნიშვნელო ინფორმაციებიც გავცვალეთ. ცოტა შემაფიქრიანეს მალტელებმა, გუნდში ხუთი ლეგიონერი გვყავსო.

„ლოკომოტივი" პირველ მატჩს სტუმრად ჩაატარებს. ამაზე მალტელებთან უკვე მოვილაპარაკეთ. „დინამოც" პირველ თამაშს შინ ატარებს და არ გვინდოდა, მატჩები ერთმანეთს დამთხვეოდა.

**— რატომ, „ლოკომოტივს" ხომ საკუთარი სტადიონი აქვს?**

— ჩვენ ვაკეში ვითამაშებთ. უეფას სპეციალური კომისია 4 ივლისს შეგვიმოწმებს სტადიონს და, დარწმუნებული ვარ, საპრეტენზიოც არაფერი ექნება. უბრალოდ, ქომაგისთვის ასე უფრო მოხერხებული იქნება. ორივე მატჩს ყოველგვარი სიჩქარისა და ფაცაფუცის გარეშე იხილავენ. არ დასჭირდებათ ვაკედან დიდუბეში გადარბენები. მოკლედ, „ლოკომოტივი" მალტიდან იწყებს.

ნაწილისყრევს „ლოკომოტივის" ახალდანიშნულ მთავარ მწვრთნელ **კახა ცხადაძესაც** ვთხოვეთ კომენტარი:

— „ბირკირკარაზე", არაფერი ვიცი, თუმც ამ გუნდმა უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა და, ცხადია, მათ წინააღმდეგ სათამაშოდ სერიოზულად განწყობა გვმართებს. გინდ მალტის გუნდი იყოს, გინდ სხვა ჩამორჩენილი საფეხბურთო ქვეყნისა, არა მგონია, შეცდომა ვინმემ გვაპატიოს. ამიტომაც მე დღესვე მზად ვარ, ამ გუნდის ნებისმიერ მეტოქესთან მატჩს დავესწრო და მალტელებზე მცირეოდენი წარმოდგენა მაინც შევიქმნა. იმედი მაქვს, პირველ ეტაპს „ლოკომოტივი" წარმატებით გადალახავს.

**გამუკა ძგანტალიანი**

---

**თბილისის «დინამოს» მეტოქე**

# იმიჯინეიშენი: ბატე დაბატიბუტდება

*თბილისის „დინამოს" პრეზიდენტ რევაზ არველაძეს, რომელიც ჟენევაში გახლდათ და წილისყრას დაესწრო, გუშინვე ტელეფონით შევეხმიანეთ შვეიცარიაში.*

## ბატე
**ბორისოვი, ბელორუსი**

დაარსდა 1996 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ანატოლი კაპსკი
მთავარი მწვრთნელი: იური პუნტუსი
სტადიონი: „ცენტრალური" (ტევადობა 6 000)
ქვეყნის ჩემპიონი (1): 1999
ჩემპიონთა თასზე: 4 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 3:5
უეფას თასზე: 2 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება, ბურთები 1:12

— „ბატეს" წარმომადგენლებთან არ მისაუბრია — ისინი წილისყრას არ ესწრებოდნენ. ამ გუნდზე ვრცელ ინფორმაციას ჯერ არ ვფლობ. ჩემი აზრით, „ბატე" სერიოზული, კარგი გუნდი უნდა იყოს.

**— მიგაჩნიათ, რომ ქართული კლუბებიდან ყველაზე ძლიერი მეტოქე თქვენ შეგხვდათ?**

— მასეა, ყველაზე ძლიერი გუნდი გვერგო. თანაც ჩვენ ხომ განთესილები ვიყავით და შესაძლო ვარიანტებიდანაც ყველაზე ძლიერი მეტოქე შეგვხვდა.

**— პირველი თამაში „დინამოს" შინ უწევს. როგორ მიგაჩნიათ, ეს უპირატესობას აძლევს მეტოქეს?**

— ჩვენთვის ეს არაფერს ნიშნავს. არ მინდა, ეს წინასწარ გასამართლებელ არგუმენტად მოვიშველიო. ყველაფერი ფეხბურთელთა მომზადების დონეზე იქნება დამოკიდებული. რაც შეიძლება კარგად უნდა მოვემზადოთ, მწვრთნელსა და ფეხბურთელებს ყველანაირად ხელს შევუწყობთ. „ბატე" არ არის ის გუნდი, „დინამოს" რომ მოუგოს, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ — „ბატე" შესაძლო ვარიანტიდან ყველაზე ძლიერი მეტოქეა და რთული მატჩები გველის.

**— „ბატეს" ბარიერის გადალახვას მწვრთნელსა და ფეხბურთელებს კატეგორიულად მოსთხოვთ?**

— რასაკვირველია და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ასეც მოხდება.

**— თქვენი ასეთი ოპტიმიზმი რას ემყარება? ბელარუსული ფეხბურთი პროგრესს განიცდის, მათი ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის V ჯგუფში მეორე ადგილზეა, უკან ჰყავს მოტოვებული უკრაინა და ნორვეგია, ჩვენ კი...**

— სწორედ ამიტომაა „ბატე" რთული მეტოქე. თანაც ბელორუსიის ეროვნულ ჩემპიონატში ახლა შესვენება არ არის, „დინამოს" კი 9 აგვისტოსთვის ჩვენს ჩემპიონატში ორი ტური თუ ექნება ნათამაშევი — აი, ეს ფაქტორი კი მეტოქეს მცირე უპირატესობას ანიჭებს. მაგრამ კლუბების იმიჯს თუ მივიღებთ მხედველობაში, ეს უკვე ჩვენ გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს.

**— გასაგებია, მაგრამ მხოლოდ იმიჯის იმედად ხომ ვერ ვიქნებით?**

— რა თქმა უნდა, სახელი და ტრადიციები მხოლოდ ერთი მხარეა. „დინამოს" შემადგენლობა გაძლიერდება, მგონი, ამას მოვახერხებთ. ჯერ ვერ გეტყვით რამდენ და რომელ ფეხბურთელს დავიმატებთ, მაგრამ ახალი მოთამაშეები გუნდში იქნებიან.

**დავით თაგართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩემპიონთა ლიგა 2001-2002. პირველი შესარჩევი ეტაპი**
I მატჩები — 11 ივლისი, საპასუხოები — 18 ივლისი

CHAMPIONS LEAGUE

1 ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) — ჟელეზნიჩარი (სარაევო, ბოსნია)
2 ლინფილდი (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) — ***ტორპედო (ქუთაისი, საქართველო)***
3 რეიკიავიკი (ისლანდია) — ვლაჟნია (შკოდერი, ალბანეთი)
4 სლოგა იუგომაგნატი (სკოპიე, მაკედონია) — კაუნასი (ლიტვა)
5 ვაგური (ფარერები) — სლავია (მოზირი, ბელარუსი)
6 ბოჰემიანსი (დუბლინი, ირლანდია) — ლევადია (მაარდუ, ესტონეთი)
7 ბერი თაუნი (უელსი) — შამქირი (აზერბაიჯანი)
8 ვალეტა (მალტა) — ჰაკა (ვალკეაკოსკი, ფინეთი)
9 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — სკონტო (რიგა, ლატვია)
10 არაქსი (არარატი, სომხეთი) — შერიფი (ტირასპოლი, მოლდოვა)

**ჩემპიონთა ლიგა 2001-2002. მეორე შესარჩევი ეტაპი**
I მატჩები — 25 ივლისი, საპასუხოები — 1 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

***2 წყვილის გამარჯვებული — კოპენჰაგენი (დანია)***
ანდერლეხტი (ბრიუსელი, ბელგია) — 10 წყვილის გამარჯვებული
შახტარი (დონეცკი, უკრაინა) — ლუგანო (შვეიცარია)
დუნაფერი ან ფერენცვაროში (უნგრეთი) — ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია)
6 წყვილის გამარჯვებული — ჰალმსტადი (შვედეთი)
ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) — ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია)
8 წყვილის გამარჯვებული — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
1 წყვილის გამარჯვებული — ბრანი (ბერგენი, ნორვეგია)
გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) — 3 წყვილის გამარჯვებული
პორტუ (პორტუგალია) — 7 წყვილის გამარჯვებული
სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) — 4 წყვილის გამარჯვებული
9 წყვილის გამარჯვებული — ვისლა (კრაკოვი, პოლონეთი)
5 წყვილის გამარჯვებული — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)
მარიბორი (სლოვენია) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია)

# ყარტა-ყურტა ევროპა სამ კალათში ჩაეტია

*ერთი თვის წინ ევროპა მოუთმენლად ელოდა ჩემპიონთა ლიგის ბოლო მატჩს. იმ ფინალის ამბები ბოლომდე არც ჩამცხრალა და ევროპაში ახალი ციებცხელებაა — გუშინდელი წილისყრით ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონი გაიხსნა.*

*მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ პატარა საფეხბურთო ქვეყნების კლუბებს ეხებათ. ბობოლები მშვიდად არიან. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, ვთქვათ, „ბარსელონასთვის“ „არაქსი“ — „შერიფის“ მატჩის შედეგს.*

*ბობოლებზე ლაპარაკი სამომავლოდ გადავდოთ და ჟენევის სასტუმრო „ნოგა ჰილტონს“ მივუბრუნდეთ. იქ, სასტუმროს საკონფერენციო დარბაზში, ორი გამჭირვალე კალათა იდგა, რომლებშიც ათ-ათი ბურთულა იყო — ერთში უკეთესი კოეფიციენტების მქონე გუნდების სახელებით, მეორეში კი უარესი ქულების პატრონებისა. ამ კალათებს შორის კიდევ ერთი კალათა იდო, ცხადია, ისიც გამჭირვალე და თავიდან ცარიელი. ამ კალათში სავსეებიდან თითო-თითო ბურთსაც დებდნენ, აურევდნენ და პირველად რომელსაც გახსნიდნენ, პირველ მატჩში მასპინძელიც ის იყო. მეორე ბურთულაში კი მეტოქის სახელი იმალებოდა.*

*ეს პროცედურა ათჯერ შესრულდა და პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრაც დასრულდა. აქედან გასულ ათ გუნდს მეორე ეტაპზე თვრამეტი სხვა ელის. ამ თვრამეტიდან თოთხმეტი საუკეთესო კოეფიციენტის მქონე განითესა. ოთხი უარესიც იმ კალათში ჩაგდეს, სადაც დანარჩენ ათ ბურთულაში მხოლოდ რიცხვებიანი ქაღალდები იყო ჩადებული და მათი დანყვილებით მეორე შესარჩევი ეტაპის წილისყრაც შედგა.*




ჟან ფურნიე ფაიარიმ სლოვენიურ „მარიბორს“ „გლაზგო რეინჯერსი“ ამოუღო



მეტოქე დირექტორები: კილმარნოკელი კევინ კოლინზი და გლენავონელი ადრიან ტირი

**უეფას თასი 2001-2002. შესარჩევი ეტაპი**
I მატჩები — 9 აგვისტო, საპასუხოები — 23 აგვისტო

UEFA CUP

ბირკირკარა (მალტა) — ***ლოკომოტივი (თბილისი, საქართველო)***
***დინამო (თბილისი, საქართველო)*** — ბატე (ბორისოვი, ბელარუსი)
კოსმოსი (სან მარინო) — რაპიდი (ვენა, ავსტრია)
პელისტერი (მაკედონია) — სენტ გალენი (შვეიცარია)
დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) — დინამო (ტირანა, ალბანეთი)
ოლიმპია (სლოვენია) — შაფა (აზერბაიჯანი)
მიდტიულანდი (დანია) — გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)
ტრანსი (ესტონეთი) — ელფსბორგი (შვედეთი)
ბრიუგე (ბელგია) — აკრანესი (ისლანდია)
გი გოტუ (ფარერები) — ობილიჩი (იუგოსლავია)
ბრაშოვი (რუმინეთი) — მიკა (სომხეთი)
ვიკინგი (ნორვეგია) — ბროტნიო (ბოსნია)
ცსკა (კიევი, უკრაინა) — იოკერიტი (ფინეთი)
ვარდარი (მაკედონია) — სტანდარდი (ბელგია)
ჰიკ (ფინეთი) — ვენტსპილსი (ლატვია)
ქუიმბრან თაუნი (უელსი) — სლოვანი (სლოვაკეთი)
მარიტიმუ (პორტუგალია) — სარაევო (ბოსნია)
პოგონი (პოლონეთი) — ფილკირი (ისლანდია)
დინამო (ზაგრები, ხორვატია) — ფლორა (ესტონეთი)
გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — კილმარნოკი (შოტლანდია)
აპოლონი (კვიპროსი) — ტირანა (ალბანეთი)

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — არარატი (სომხეთი)
ეტელბრიუკი (ლუქსემბურგი) — ლეგია (პოლონეთი)
ზიმბრუ (მოლდოვა) — გაზიანთეფსფორი (თურქეთი)
დინაბურგი (ლატვია) — ოსიეკი (ხორვატია)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ნოვა გორიცა (სლოვენია)
ტორსჰავნი (ფარერები) — გრაცერი (ავსტრია)
ატლანტასი (ლიტვა) — რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი)
პუხორი (სლოვაკეთი) — სლიმა უონდერერსი (მალტა)
ლონგფორდ თაუნი (ირლანდია) — ლოვეჩი (ბულგარეთი)
ბრონდბიუ (დანია) — შელბურნი (ირლანდია)
სანტა კოლომა (ანდორა) — პარტიზანი (იუგოსლავია)
მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — ჟალგირისი (ლიტვა)
შახტიორი (ბელარუსი) — ცსკა (სოფია, ბულგარეთი)
მიუპა (ფინეთი) — ჰელსინგბორგი (შვედეთი)
დებრეცენი (უნგრეთი) — ნისტრუ (ოტაჩი, მოლდოვა)
პოლონია (პოლონეთი) — ლანსანტფრეიდი (უელსი)
გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — აეკ (საბერძნეთი)
რუჟომბეროკი (სლოვაკეთი) — ბელშინა (ბელარუსი)
ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) — დუნაფერი ან ფერენცვაროში (უნგრეთი)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ვარტექსი (ხორვატია)



სელტა — ბარსელონა. მიხაელ რაიციგერმა (მარჯვნივ) მასპინძელ გუსტავო ლოპესს გადაბიჯა

## ესპანეთი

### თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

### სელტა 3:1 ბარსელონა

0:1 სიმაო (6), 1:1 მოსტოვოი (25), 2:1 ბერიზო (45), 3:1 ხესული (51)

სელტა: კავალიერო, ბერიზო, ხუანფრანი, ჯოროვიჩი (კასერესი 25), ველასკო, მოსტოვოი, კარპინი, ჯოვანელა, ხაიო, კატანია (ედუ 86), გუსტავო ლოპესი (ხესული 41)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

ბარსელონა: რეინა, რაიციგერი, პუიოლი, სერხი, ფ. დე ბური, ხავი, გაბრი, კოკუ (ალფონსო 84), ზენდენი (კლუივერტი 55), სიმაო (გვარდიოლა 83), რივალდო

მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

გაფრთხილება: კარპინი, მოსტოვოი, კასერესი, ხუანფრანი, ზენდენი, ხესული, კოკუ, კასერესი, ველასკო, კატანია, ველასკო

გაძევება: კასერესი (82), ველასკო (87)

29 000 მაყურებელი

**თავიდანვე** ვთქვათ, „სელტასაც“ და „ბარსელონასაც“ ევროთასებზე თამაში უკვე განაღდებული აქვთ და ესპანეთის თასისთვის ბრძოლას მათთვის უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „ატლეტიკოსთვის“ და „სარაგოსასთვის“, თუმცა სამეფო თასის მოპოვება თავისთავად უმნიშვნელო რამ სულაც არაა.

აქვე აღვნიშნოთ ისიც, რაც ალბათ ბოლოსკენ უნდა გვეთქვა. „ბარსელონას“ 2:3-ზე ფინალში გაღწევის მეტი შანსი ექნებოდა, ვიდრე ახლა, 1:3 შემდეგ, მაგრამ წამატებულ დროში ვიგოელმა მეკარე პაბლო კავალიერომ რივალდოს პენალტი აუღო.

თავად მატჩი კი სტუმართა იერიშებით დაიწყო, რამაც შედეგი ძალიან სწრაფად, მეექვსე წუთზევე მოიტანა. ბუდევინ ზენდენმა ზედ ფეხზე დაასვა ბურთი სიმაოს და პორტუგალიელმაც ანგარიში გახსნა.

პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში მომქანცველმა მატჩმა, რომელმაც კატალონიელებს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა, მათ მონდომებას და ბრძოლისუნარიანობას ისედაც დაღი დაასვა და იმ სწრაფმა გოლმა მათი ყურადღება კიდევ უფრო მოადუნა. ამან კი მასპინძლები გააქტიურა და ალექსანდრ მოსტოვოის ხელმძღვანელობით იქით შეუტიეს. ერთ მომენტში რუსის სახიფათო დარტყმული ყმაწვილმა მეკარე ხოსე მანუელ რეინამ ისე ბრწყინვალედ მოიგერია, როგორი თამაშიც მისგან ფაქტობრივად არც გვახსოვს. ტაიმის დასრულებამდე ვიგოელები ერთადერთხელღა ანერვიულდნენ და ისევ სიმაოს დარტყმის შემდეგ, რომელიც კავალიერომ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. მოსტოვოიმ კი თავისი საქმე ტაიმის ბოლო წუთზე მაინც გააკეთა, საჯარიმოდან მის ჩაწოდებულს ედუარდო ბერიზო შესწვდა და შესვენებაზე გუნდები თითო გოლით გავიდნენ.

მეორე გოლი მოსტოვოიმ თავად გაიტანა. მეორე ტაიმის დაწყებიდან მეშვიდე წუთი მიდიოდა, როცა მან ხუან ველასკოს ჩაწოდებულ ბურთს რეინასგან შორეულ კუთხეში მიუჩინა ადგილი.

რუსს თანამემამულე ვალერი კარპინი აჰყვა და მათი კომბინაციის დასრულება კატანიამ სცადა, თუმცა არაფერი გამოუვიდა და საბოლოოდ დარტყმა ხესულიმ ითავა.

ბოლო წუთებზე უხეშობამ იმატა, რისი დასტურიც ორი ვიგოელის გაძევებაა. ფერნანდო კასერესმა სიმაოს წაქცევისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. თანაგუნდელს მალე ველასკოც მიჰყვა, რომელიც საჯარიმოში რივალდოს მაისურაზე ქაჩავდა. თუმცა თავშივე აღვნიშნეთ, რომ ბრაზილიელმა ამ დარღვევისთვის დანიშნული პენალტი ვერ გამოიყენა.

საპასუხო მატჩი „კამპ ნოუზე“ ხვალ გაიმართება, დღეს კი „სარაგოსა“ — „ატლეტიკოს“ შეხვედრაა.

**გიორგი დარჯანია**

## იტალია

### სერია A. პლეი აუტი. I მატჩი

### ვერონა 1:0 რეჯინა

1:0 ლაურსენი (61)

ვერონა: ფერონი, ოდო, გონელა, ლაურსენი, სერიჩი (ტეოდორანი 57), კამორანეზი, იტალიანო (ჯ. კოლუჩი 46), ლ. კოლუჩი, სალვეტი, მუტუ, ადაილტონი (ჯილარდინო 46)

მწვრთნელი: ატილიო პეროტი

რეჯინა: ტაიბი, სტოვინი, ვარგასი, მეცანო, ბერნინი, მამედე, ბრევი, ძანჩეტა (კოცა 25), მორაბიტო, დიონიჯი (ბოგდანი 80), მარაცინა (და კოშტა 76)

მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა

გაფრთხილება: სერიჩი, მუტუ, ბრევი, მამედე, კამორანეზი, ბერნინი

18 000 მაყურებელი

### ოთხთა ტურნირი

#### I ტური

#### ბოსნია 1:0 სლოვაკეთი

1:0 მილანი (63ს.კ.)

#### მალაიზია 2:4 ბაჰრეინი

0:1 იუსუფი (3), 1:1 მალიკი (25), 2:1 გევინგი (52), 2:2, 2:3, 2:4 ალი აჰმედი (70, 85, 90)

## ბელარუსი

მე-9 ტური: ბატე — ნემანი 1:1; ბელშინა — დნეპრტრანსმაში 2:0; ტორპედო მაზი — მოლოდეჩნო 1:0; ლოკომოტივი — შახტიორი 1:2; დინამო (ბრესტი) — სლავია 1:0; ვედრიჩი — დინამო (მინსკი) 0:3; ნაფტან-დევონი — გომელი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბატე | 9 | 7 | 2 | 0 | 22:8 | 23 |
| ბელშინა | 9 | 6 | 1 | 2 | 15:6 | 19 |
| შახტიორი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:8 | 18 |
| დინამო (მინსკი) | 9 | 5 | 1 | 3 | 18:10 | 16 |
| გომელი | 9 | 5 | 1 | 3 | 10:7 | 16 |
| ნემანი | 9 | 4 | 4 | 1 | 17:6 | 16 |
| სლავია | 9 | 4 | 2 | 3 | 16:9 | 14 |
| დნეპრტრანსმაში | 9 | 4 | 1 | 4 | 11:12 | 13 |
| ტორპედო მაზი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:12 | 11 |
| მოლოდეჩნო | 9 | 3 | 2 | 4 | 6:11 | 11 |
| დინამო (ბრესტი) | 9 | 2 | 1 | 6 | 5:15 | 7 |
| ლოკომოტივი | 9 | 2 | 1 | 6 | 5:18 | 7 |
| ვედრიჩი | 9 | 2 | 0 | 7 | 7:19 | 6 |
| ნაფტან-დევონი | 9 | 0 | 1 | 8 | 3:17 | 1 |

## ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი. II ტური

# ფრანგებს ბრაზილიური ბეწვის ხიდი გაუწყდათ

*გუშინ ჩემპიონატის მეორე ტური დასრულდა. ეგზოტიკურმა განამ ეგზოტიკურად გაიმარჯვა, ფრანგებმა ორი ბურთის გატანის შემდეგ მოედანზევე გადაწყვიტეს დასვენება, თუმცა არაფერი გამოუვიდათ. კვლავ მოიგო ტურნირის აღმოჩენამ, კოსტა რიკამ, იაპონელები კი ისევ უფერულად გამოიყურებოდნენ. ძალას იკრებს ჩეხეთი. ისე კი, ამ ბოლო ხანს არაერთი მატჩისას მოვლენათა კალეიდოსკოპური სისწრაფით ცვლილებამ მრავალგზის შეგვახსენა, რომ საფეხბურთო შეხვედრა 90 წუთს გრძელდება...*



ჰოლანდია — ეკვადორი. ჰოლანდიელი იურგენ კოლინი და რობერტო მინა

### D ჯგუფი

#### ავსტრალია 0:3 ჩეხეთი

0:1 მუსილი (27), 0:2 იუნი (30), 0:3 მაჩეკი (47)

#### იაპონია 1:2 ანგოლა

0:1 მენდონსა (9), 1:1 იამასე (61პ), 1:2 რასკასი (81)

**ჩეხ ჭაბუკებს** პირველ მატჩში ანგოლელ თანატოლებთან ფრის შემდეგ მერვედფინალზე საფიქრელად გამარჯვება სჭირდებოდათ. ევროპელებმა შემართებით ითამაშეს და პირწმინდად დაამარცხეს ავსტრალიელები. ეს, შეიძლება ითქვას, ერთგვარი სენსაცია გახლავთ, რამდენადაც, პირველ ტურში ავსტრალიელებმა სძლიეს იაპონელებს, რომელთაგანაც გულშემატკივრები და სპეციალისტები საკმაოდ ბევრს მოელოდნენ, თუმცაღა, აზიელებმა მეორე მატჩიც ცუდად ჩაატარეს, ამჯერად ანგოლის ნაკრებთან და ფაქტობრივად დაკარგეს შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი (ჯგუფებიდან ოთხი საუკეთესო მესამეადგილოსანიც გადის). თუმცაღა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადამწყვეტი გოლი ანგოლელებმა მატჩის მიწურულს გაიტანეს.

კვირას გადამწყვეტი მატჩებია: ანგოლა — ავსტრალია, ჩეხეთი — იაპონია. თუ აფრიკელები და ოკეანეთელები ფრედ ითამაშებენ, მეორე წყვილის მატჩის შედეგი აზრს კარგავს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ანგოლა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ავსტრალია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| იაპონია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### E ჯგუფი

#### კოსტა რიკა 3:1 ეთიოპია

1:0, 2:0 ბარქსი (8, 49), 3:0 სკოტი (61), 3:1 ზეგეიე (90)

#### ჰოლანდია 1:1 ეკვადორი

1:0 კოლინი (21), 1:1 ხ. ვარგასი (85)

**პირველ** ტურში სენსაციად იქნა აღქმული კოსტა რიკასთან ჰოლანდიელთა წაგება, თუმცაღა, როგორც მეორე ტურმაც აჩვენა, კონკაკაფელებს არგენტინაში საკმაოდ ძლიერი გუნდი ჩაუყვანიათ. კოსტარიკელებმა არ უღალატეს ჩვეულებას და იმავე ანგარიშით დაამარცხეს ეთიოპელები, როგორითაც ჰოლანდიელები. უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის სადავეები კოსტარიკელებს სრულად ეპყრათ. მათ სამი ბურთი გაუტანეს მეტოქეს, თუმცაღა, ეთიოპელებმა თამაშის ბოლო წუთზე პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხეს.

პირველ ტურში ეკვადორის მიერ ეთიოპიასთან მოპოვებული სამი ქულა, როგორც ჩანს, დიდად დაეხმარება გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლას, რადგანაც მეორე ტურში ჰოლანდია — ეთიოპიის თამაში ფრედ დამთავრდა. ბრძოლა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ეთიოპელები დიდხანს იყვნენ წინ, თუმც უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და თამაშის მიწურულს საკუთარ კარში გოლი გაუშვეს.

კვირას, მესამე ტურში, რომელიც გაიმართება, ერთმანეთს ეკვადორი — კოსტა რიკა და ჰოლანდია — ეთიოპია დაუპირისპირდებიან. კოსტა რიკა უკვე გასულია შემდგომ ეტაპზე და სამხრეთამერიკელებიც ფაქტობრივად იქ არიან.

სამაგიეროდ, საკმაოდ პრინციპული შეხვედრა იქნება ჰოლანდია — ეთიოპია. ორივე გუნდს შემდგომ წრეში გასასვლელად მხოლოდ მოგება აწყობს და ეგებ, საკმარისი არც იყოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ეკვადორი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ეთიოპია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### F ჯგუფი

#### საფრანგეთი 2:2 პარაგვაი

1:0 ბუნე (10), 2:0 ჯიბრილ სისე (48), 2:1 ფრეტესი (53), 2:2 დევაკა (72)

#### ირანი 0:1 განა

0:1 დ. ბოატენგი (11)

**განამ** მეორე შეხვედრაც მოიგო, ამჯერად ირანთან, რომელმაც ფაქტობრივად დაკარგა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი.

მეორე მატჩში საფრანგეთი და პარაგვაი დაუპირისპირდნენ. აქ მოვლენები მეტად საინტერესოდ განვითარდა. როგორც ჩანს, ფრანგებმა რომელთაც, წინა მატჩი საკმაოდ იოლად მოიგეს, ამჯერად ბრაზილიელებს მიბაძეს. სამხრეთამერიკელები არგენტინაში გამართული ორივე მატჩისას მეტად თავისებური სტილით იმარჯვებენ — პირველივე ტაიმში მოამთავრებენ საქმეს, ხოლო მეორეში თავს არ იწუხებენ. დარჩა შთაბეჭდილება, რომ ფრანგებმა გამარჯვების ზემოაღნიშნული, ბრაზილიური მანერა აირჩიეს. პირველი ორი ბურთის შემდგომ ერთგვარად მოეშვნენ, რითაც ისარგებლა მათმა მეტოქემ და ანგარიში გაათანაბრა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ევროპელებმა განელების მსგავსად ფაქტობრივად გაინაღდეს შემდეგ წრეში გასვლა და კვირას მესამე ტურში ხვდებიან ერთმანეთს.

საკმაოდ პრინციპული იქნება მეორე მატჩი პარაგვაისა და ირანს შორის. თუკი რომელიმე გუნდი გაიმარჯვებს, შესაძლოა, ის საუკეთესო ოთხ მესამეადგილოსანთა შორის მოხვდეს.

**გამუქა ნაცვალაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ირანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |



იაპონია — ანგოლა. იუტაკა ტაჰარა (№9) და ჩინიო

# ინტერმა ელენიო ერერა გააცოცხლა

**ახლა** უკვე საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 55 წლის არგენტინელი სპეციალისტი, ექტორ რაულ კუპერი მილანის „ინტერის“ მთავარი მწვრთნელია. კონტრაქტი „ნერო-აძურის“ ოფისში კლუბსა და კუპერს შორის გუშინ გაფორმდა. ხელშეკრულების დეტალები არ გახმაურებულა და, ცხადია, არც ისაა ცნობილი, მანქანის საბურავების ცნობილი ფირმა „პირელის“ მფლობელი და „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი წლიურად რამდენს გადაუხდის კუპერს.

კუპერი და მორატი გუშინვე შეხვდნენ ერთმანეთს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. არგენტინელს პრეზიდენტზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დაუტოვებია: „იგი ფეხბურთის ბრწყინვალე მცოდნე, სერიოზული და პრაგმატული კაცია. ცხადია, „ინტერი“ გაძლიერებას საჭიროებს, მაგრამ მწვრთნელს არ მოუთხოვია, ფულია საჭირო ამა და ამ ფეხბურთელის შესაძენადო. გუნდის გაცნობისთანავე მითხრა, ამ ფეხბურთელებით სრულიად შესაძლებელია, დიდი შედეგების მიღწევაო. კუპერი თავის დიდ თანამემამულე ელენიო ერერას მაგონებს, ერერა კი უდიდესი მწვრთნელი გახლავთ „ინტერის“ ისტორიაში“.

აქვე მასიმო მორატი იმ ჭორებსაც შეეხო, ბოლო დროს იტალიურმა გაზეთებმა რომ გაავრცელეს: „კრისტიან ვიერი არ იყიდება, „პარმასთან“ კი არავითარი მოლაპარაკება არ გვქონია სერჟიუ კონსეისაუს თაობაზე“.

ერთი სიტყვით, კუპერი „ინტერის“ მწვრთნელია. სურვილი ჯერ არ გამოუთქვამს, თორემ ახალი სეზონისთვის ორი ახალი ფეხბურთელი მას კლუბის ბაზაზე უკვე დახვდა. სტამბოლის „გალათასარაის“ თურქები — ემრე ბელოზოღლუ და ოკან ბურუქი მორატიმ იანვარში შეიძინა.

**გიორგი გუზაძიძე**



ექტორ რაულ კუპერი

დაიბადა 1955 წლის 16 ნოემბერს სანტა ფეში, არგენტინა

თამაში დაიწყო ბუენოს აირესის „ფერო კარილში“. 1980 წელს მოიგო არგენტინის ჩემრიონატი

არგენტინის ახალგაზრდული ნაკრებში ხუთჯერ ითმაშა

1992 — 37 წლისამ „ურაკანის“ შემადგენლობაში დაასრულა საფეხბურთო კარიერა, არგენტინის ჩემპიონატში ითამაშა 495 მატჩი და გაიტანა 26 გოლი

**სამწვრთნელო კარიერა**

1993 — „გვიდესი“ გაიყვანა აპერტურას ჩემპიონატში მე-5 ადგილზე.

1994 — კლაუსურაში „ურაკანი“ მეორე ადგილზე გავიდა

1995 — დაინიშნა „ლანუსის“ მთავარ მწვრთნელად

1996 — „ლანუსი“ ხდება ბრინჯაოს პრიზიორი

1997 — „ლანუსი“ იგებს პირველ საერთაშორისო ტიტულს, კონმებოლის თასს

1997 — გადადის ესპანეთში და ინიშნება „მალიორკას“ მთავარ მწვრთნელად, გუნდი გადაყავს პრიმერადივიზიონში

1998 — „მალიორკა“ იკავებს მე-5 ადგილს, ესპანეთის თასის ფინალში პენალტებით (1:3) მარცხდება „ბარსელონასთან“

1999 — „მალიორკა“ გადის თასების თასის ფინალში, სადაც რომის „ლაციოსთან“ 1:2 მარცხდება

„მალიორკა“ გაჰყავს ჩემპიონთა ლიგაში, მაგრამ გადადის „ვალენსიაში“. ესპანეთის სუპერთასის ფინალში „ვალენსია“ ამარცხებს „ბარსელონას“

2000 — „ვალენსია“ პრიმერადივიზიონში გადის მესამე ადგილზე. ჩემპიონთა ლიგის ფინალში 0:3 მარცხდება მადრიდის „რეალთან“

უეფა ასახელებს წლის საუკეთესო მწვრთნელად

2001 — „ვალენსია“ ზედიზედ მეორედ გაჰყავს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, თუმცა პენალტებით მარცხდება მიუნხენის „ბაიერნთან“

22 ივნისს ოფიციალურად ინიშნება „ინტერის“ მთავარ მწვრთნელად

# თერიმის სისტემა მილანი გასიამოვნებთ



**ორშაბათს** თურქმა მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა იტალიურ „მილანთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ორი დღის მერე კი მშობლიურ სტამბოლში ჩავიდა. აეროპორტში ყველაზე სახელიან თურქ მწვრთნელს ჟურნალისტები დახვდნენ და იქვე, თვითმფრინავის ტრაპთან, სახელდახელო პრესკონფერენცია გამართეს. თერიმმაც არ დაიზარა და საქვეყნოდ განაცხადა:

„მე მოვუწოდებ ყველა ჩემს თანამემამულეს, არამარტო თურქეთში მცხოვრებთ, არამედ აზერბაიჯანში, თურქმენეთში, ყველგან, სადაც კი თურქები არიან გაფანტულნი, „მილანს“ მხურვალედ უქომაგონ. დარწმუნებული ვარ, თქვენ ჩემს გამო „მილანის“ თავგადაკლული ქომაგები გახდებით“. მერე თერიმმა ჟურნალისტებს პირველი მილანური შთაბეჭდილებებიც გაუზიარა: „მილანი“ დიდი კლუბია, მე ვამაყობ, რომ ჩემი ცხოვრება მას დავუკავშირე. ჩემი სული თურქეთში ტრიალებს, გული კი მილანშია. ჩემს სამწვრთნელო ფილოსოფიაში ცვლილებებს ნუ ელით. ისევ ისეთი, შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ და ასეთადვე დავრჩები. „მილანი“ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს, ისეთს, ერთ სიამოვნებად რომ ღირდეს. მერწმუნეთ, ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის. „მილანში“ ახლა მე ვარ ბოსი და ქვეშევრდომთაც, ანუ ფეხბურთელებსაც ზუსტად მოუწევთ იმის შესრულება, რასაც მე მივუთითებ, მიუხედავად იმისა, მოეწონებათ თუ არა. ხშირად მეკითხებიან, რომელ სათამაშო სისტემას ვანიჭებ უპირატესობას, ჰოლანდიურს, ფრანგულს, ბრაზილიურს თუ იტალიურს. პასუხი ყოველთვის ერთი მაქვს და ახლაც ვიმეორებ — ეს გახლავთ ფატიჰ თერიმის სისტემა. დღევანდელ „მილანში“ ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მის დონეს. ისინი კლუბს აუცილებლად დატოვებენ. ერთის თქმა კი ახლავე შემიძლია — ფერნანდო რედონდო, აი, ფეხბურთელი, რომელიც „მილანს“ ჰაერივით სჭირდება. ის ახლა ესპანეთშია, ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა. რედონდო მინდორზე 26 ივლისს გამოვა, როდესაც „მილანი“ ამსტერდამის ტრადიციულ ოთხთა ტურნირში ჩაებმება. ძალიან მინდა, ჩემს გუნდში კიდევ ერთი დიდებული ფეხბურთელი, მანუელ რუი კოშტა მყავდეს. პორტუგალიელი ბრწყინვალე პლეიმეიკერია, „ფიორენტინაში“ მასთან მუშაობა დიდ სიამოვნებას მგვრიდა“.

აი, ეს განაცხადა ფატიჰ თერიმმა სტამბოლის აეროპორტში. ამასობაში, გუშინწინ ტურინში ორი სუპერკლუბის — „მილანისა“ და „იუვენტუსის“ უფროსობა კვლავ შეხვდა ერთმანეთს, რათა ფილიპო ინძაგის ტრანსფერი საბოლოოდ მოეგვარებინათ. ტურინელებმა ადრე დასახელებულ თანხას, 35 მილიონ დოლარს, ხუთიც წაუმატეს და ინძაგის ტრანსფერში „მილანს“ 40 მილიონს სთხოვენ, „მილანი“ კი 30-ის გადახდაზე იყო ყაბულს. საბოლოოდ მხარეები 35 მილიონ დოლარზე შეთანხმდნენ. სამშაბათს ორივე გუნდის წარმომადგენლები ახლა უკვე მილანში შეხვდებიან ერთმანეთს. შესაძლოა იტალიის ნაკრების ფორვარდი ფილიპო ინძაგი სამშაბათსვე „მილანის“ ფეხბურთელი გახდეს.

**გიორგი გუზაძიძე**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

**ტურინში**, „იუვენტუსის“ ოფისში დიდად საინტერესო ამბავი მოხდა: კაბინეტის კარი მოულოდნელად გაიღო და იქიდან ალელვებულმა კარლო ანჩელოტიმ ენერგიულად გამოაბიჯა. ახლა არ თქვათ, რომ ამაში საინტერესო არაფერია. აი, თუ არ არის: გადაყენებულმა მწვრთნელმა გარეთ მთელი სხეულით გამოსვლა ვერ მოახერხა, რადგან, ზედ ზღურბლზე გარედან შიგნით ასევე ენერგიულად შემავალ, გახარებულ მარჩელო ლიპის შეასკდა.

ჯახ, მოესმათ ოთახში შეკრებილ ფეხბურთელებს.

— ნეტავ კარლოს გულყრა ხომ არ მოუვიდა? წამო, დავეხმაროთ, ბოლოს და ბოლოს 73 ქულა აგვალებინა მაინც — შესთავაზა კოლეგებს ალესანდრო დელ პიერომ.

— ჩვენ რომ 76 გვჭირდებოდა? — შეეპასუხა მეკარე ედვინ ვან დერ სარი.

— 76 თუ გინდოდა, „უდინეზესთან“ მეოთხე ტურში ორი გოლი არ უნდა გაგეშვა. წამო, წამო — არ შეეპუა დელ პიერო.

— ვა, შენ რა კაი ტიპი ხარ. იმ „უდინეზესთან“ გაგეტანა ორი და ჩვენ მოვიგებდით, 3:2 გამოვიდოდა. რა, ვინმე მოგეპარა და თასმები ერთმანეთზე გადაგიბა? — უკან აღარ დაიხია ვან დერ სარმა.

— დაიცა, დაიცა, ბიჭებო, ეგრე არ გამოვა. სხვა თემაზე ნუ გადადიხართ. ჩვენ კარლოზე ვლაპარაკობდით — დააშოშმინა მოდავენი ვეტერანმა ჩირო ფერარამ.

— ჰოდა, მე იმას ვამბობდი, რომ კარლომ ორ სეზონში 144 ქულა აგვალებინა — განაგრძო დელ პიერომ.

— შენ, რა, ძმაო, NHL-ში ხარ? ჩვენთან მაგეებს არ ითვლიან, ჩვენთან ჩემპიონობას და რაღაც მარიაჟებს აქცევენ ყურადღებას, თორემ ერთ მეტრში გადაწოდებული სწორი პასებით „ოქროს ბურთი“ ყოველ წელიწადს დი ლივიოს ეკუთვნის — რატომღაც გაცხარდა ალესიო ტაკინარდი.

— ე, ვასია, შენ ჩემ ძმაკაცზე რეებს ლაპარაკობ — წამოუხტა პაოლო მონტერო და მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითი თვალებთან მიუტანა, აქაოდა „გლაზა ვიჩერქნუო“.

— ეი, ეი. თქვენ ხო არ გაგიფრენიათ, კაცი გათიშული გდია — წამოხტა ფილიპო ინძაგი.

— ტუგლი, ტუგლი, პატარა გოგო — დაუბღვირა ინძაგის ედგარ დავიდსმა.

— ვა, აქ გუდრონი ვინ დაასხა? — პასუხად დავიდსისკენ გაიშვირა ხელი ინძაგიმ.

— აბა, გაჩუმდით ყველანი! — დაიღრიალა ფერარამ — რა დროს ეგ სისულელეებია, გასაჭირშია კაცი. რას ამბობდი, ალესანდრო, ქულებს ითვლიდი, არა?

— ჰო, ქულებს.

— მერე?

— მერე, არაფერი.

— დაითვალე?

— ჰო.

— რა გამოვიდა?

— შარშანაც და წელსაც ჩვენ გავხდით ჩემპიონები.

— ვაშააა! — მოულოდნელად ღრიალი დაიწყო აქამდე კუთხეში ჩუმად მიმჯდარმა ზინედინ ზიდანმა — ახლა სახლში მივალ და ცოლს ვეტყვი, ესპანეთში ვერ წამოვალ, ჩემპიონები ვყოფილვართ-მეთქი.

— კი, ეტყვი, მაგხელა წინადადების თქმა თუ გაცალა — გამოეხმაურა ჯანლუიჯი ძამბროტა. ზიდანმა ლოყები გამობერა და ჩუმად დაჯდა.

— ბიჭებო, რა ვქნათ? — ისევ თემას დაუბრუნდა დელ პიერო.

— დავლიოთ, ჩემპიონები ვყოფილვართ! — შესძახა ფერარამ, ყანწი ღვინით გაავსო და სადღეგრძელო თქვა: ეს, ჩვენს ჩემპიონობას გაუმარჯოს, რომელიცა, რომა ოფლით მოგვიპოვებია და მკერდზე დაგვიკიდებია. ეს, ჩვენს ქულებს გაუმარჯოს, რომლებიც, რომა ერთმანეთზე მიგვიწყვია და ეს, ჩვენს კარლოს გაუმარჯოს, კარგად იყოს!

— ამინ! — შესძახეს დანარჩენებმა.

**ბაბუნა ძიდია**

**ტაისონი და ფიგუ ბაყაყურად ცურვაში რომ შევაჯიბროთ, ვინ აჯობებს?**

**პასუხი მოიწერეთ:** *engotengo@hotmail.com*




ედვინ ვან დერ სარმა ჯერ არ იცის, რომ უდინელთა ამ გოლის გამო კარლო ანჩელოტი მარჩელო ლიპის შეაკდება

## ვაჟების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

სამპრასი (1) — კლავეტი
კოუენი — ჰილტონი
სარგსიანი — აკასუსო
რობრედო — ლევი (34)
ბიორკმანი (33) — ბურგსმიულერი
ჩანგი — ვანეკი
მალისი — დიასი
კ. როშიუ — ფედერერი (15)
გემბილი (12) — ვუდრაფი
ლარსონი — როსე
ნოვაკი — ვისენტე
სრიჩაპანი — ტ. მარტინი (23)
შალკენი (26) — კუბეკი
ულირახი — ბ. ბრაიანი
მ. ლი — პოცი
დერეპასკო — ჰენმანი (6)
საფინი (4) — ნოული
ბლანკო — ნესტორი
პრინოშილი — ჰ. ლი
სანგვინეტი — პორტასი (25)
ჰრბატი (22) — სლუიტერი
დრეიპერი — ვუდბრიჯი
პუენტესი — პუერტა
კნიპშილდი — კლემანი (13)
იოჰანსონი (11) — ილი
როდიკი — ჰოიბერგერი
იონსონი — ივანიშევიჩი
გოდვინი — მოია (21)
ა. მარტინი (31) — ბ. ბლექი
პაველი — რუზეცკი
სტოლტენბერგი — ბუტე
მილიგანი — ფერერო (8)
კაფელნიკოვი (7) — იუნი
სა — პარმარი
ბალსელსი — კარლსენი
კანასი — გაუდიო
ჰაასი (17) — უ. ბლექი
მანტია — ლოდრა
ჰიპფლი — უე
დამი — ენკვისტი (10)
ვოლჩკოვი (16) — იუჟნი
დიუპუი — მემიტი
არტურსი — მირნი
ზაბალეტა — სანტორო (20)
არაზი (27) — სანჩესი
კალერი — ო. როშიუ
დოსედელი — ი. ვაჩეკი
დ. ვაჩეკი — რაფტერი (3)
ჰიუიტი (5) — გუსტაფსონი
ბრუგერა — დენტი
კემპესი — ელ აინაუი
ვინსიგერა — სკილარი (28)
ესკუდე (24) — გოლმარი
პაესი — ელსნერი
ლუბიჩიჩი — შუტლერი
კრატოხვილი — გროჟანი (9)
ფერერა (14) — სტოლიაროვი
ტაბარა — პიოლინი
სიმერინკი — პლესი
კალატრავა — კიფერი (19)
კორია (29) — მელიგენი
მასიუ — ჩაილდსი
დელგადო — მედვედევი
ვესელსი — აგასი (2)

THE CHAMPIONSHIPS WIMBLEDON

## უიმბლდონი 2001

**„ყველაფერი** შეგიძლიათ გაიგოთ, რაც პიროვნების შესახებ გაინტერესებთ, თუ მას უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ათამაშებთ" — თავის დროზე აღნიშნა ტურნირის სამგზის ჩემპიონმა ჯონ ნიუკომბმა. მას კვერს მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი პირველი ჩოგანი ივან ლენდლიც დაუკრავდა. გაამერიკელებულ ჩეხს კარგად ესმოდა, რომ სპორტული უკვდავებისკენ გზა სწორედ „ოლ ინგლენდ კლაბზე" გადიოდა, მაგრამ ხანგრძლივი და თავგადაკლული მცდელობითაც კი ვერ მოახერხა საჩოგბურთო მექის დაპყრობა.

სამაგიეროდ, ამერიკელი პიტ სამპრასისთვის 1920-იანებში აგებული, მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერელების მიერ დაბომბილი ცენტრალური კორტი სწორედ რომ მეორე სახლად იქცა. ვეტერანმა ამერიკელმა 1993 წლიდან მოყოლებული, უიმბლდონზე ერთადერთი მარცხი იწვნია (1996-ის მეოთხედფინალში რიჩარდ კრაიჩეკთან) და შვიდჯერ გაიხარა მთავარი ჯილდოს ხელში აწევით.

შარშან სწორედ აქ, პატრიკ რაფტერთან სამახსოვრო, ზედ დაბინდების წინ დასრულებულ ფინალში მოიპოვა „პისტოლ პიტმა" კარიერის მე-13 დიდი სლემის ტიტული და როი ემერსონის ლეგენდარული რეკორდი გააუმჯობესა, მერე ამ მიღწევის მნიშვნელობით აღელვებული ცრემლად დაიღვარა და ტრიბუნებზე ჩამალულ დედ-მამას ბავშვივით ჩაეხუტა.

მიუხედავად იმისა, რომ იქიდან მოყოლებული დიდ ამერიკელს ერთი ტურნირიც აღარ მოუგია, საბუკმეიკერო ფირმებმა და მეტოქეებმა კარგად იციან, ვინც რჩება წლევანდელი პირველობის მთავარ ფავორიტად. „არა მგონია, რომ ჩემი კარიერა დაღმა წავიდა. როდესაც საჭიროება მოითხოვს, ისევ იმავე დონეზე შემიძლია თამაში. სტაბილურობის მხრივ ცოტას მოვიკოჭლებ, მაგრამ ასაკი და გამოცდილება უეჭველად დამეხმარება — თვლის სამპრასი, რომელიც შარშან შემოდგომაზე მსახიობ ბრიჯიტ უილსონზე დაქორწინდა და ახლა ტიტულებზე არანაკლებ მამობაზე ოცნებობს — უიმბლდონი ჩვენი სუპერ ბოულია და თუ აქ არ მოვინდომე, გაპენსიონერების დრო დამდგომია... ვიცი, მეტოქეებს ჩემი დიდი შიში და რიდი ექნებათ".

ზედიზედ მეხუთედ გაჩემპიონებით „პისტოლ პიტი" წლეულს კიდევ ერთი ლეგენდარული კოლეგის — ბიორნ ბორგის რეკორდს გაუტოლდება და თითზე შეიძლება ჩამოვთვალოთ ის მოთამაშეები, რომლებსაც მისთვის ამაში ხელის შეშლა შეუძლიათ. თავად სამპრასი ასეთებად მუდმივ მეტოქე ანდრე აგასის, ლეიტონ ჰიუიტს, პატრიკ რაფტერსა და ორ ინგლისელ პრეტენდენტს მიიჩნევს.

„ის, რაც პიტმა შეძლო, ფენომენალური და წარმოუდგენელია, ეს ჯერ კიდევ შარშან ვთქვი. მოუთმენლად ველი უიმბლდონზე მისი თამაშის ცქერას და მოიგებს თუ წააგებს, ამით დავტკბები — ეს სიტყვები



პიტ სამპრასი

აგასის ეკუთვნის, რომელიც, ზემოთქმულის მიუხედავად, კორტზე თანამემამულის უდიდეს კონკურენტად რჩება — დროა, ვინმემ ძალიან მოინდომოს და მას ტიტული წაართვას. კარიერაში მხოლოდ ერთი „მეიჯორის" მოგება რომ შემეძლოს, სწორედ უიმბლდონს ავირჩევდი".

31 წლის ასაკში ხოტორა ლასვეგასელს ლონდონში ბევრი სტუმრობა აღარ დარჩენია და იქნებ ეს მისთვის ტიტულების კოლექციის შევსების ბოლო შანსიც იყოს. აი, პატრიკ რაფტერი კი მსოფლიოს ყველაზე მწვანე ტურნირზე, ალბათ, უკანასკნელად ასპარეზობს. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი სეზონის ბოლოს სპორტიდან წასვლას გეგმავს და დევისის თასთან ერთად სწორედ უიმბლდონის მოგებაზეღა ოცნებობს.

შარშან აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონს ფინალში ნერვებმა უმტყუნა და სამპრასს გამარჯვება ლამის საკუთარი ხელით გადაულოცა, მაგრამ წლეულს ამის გამოსწორებას აპირებს: „ვფიქრობ, წარმატების კიდევ უფრო დიდი შანსი მაქვს. ფინალისტობა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მოგებას ვერაფერი შეედრება. საკუთარი თავისგან საკმაოდ ბევრს ვითხოვ და მაინტერესებს, ზეწოლას როგორ გავუმკლავდები".

ბალახის კორტების სისწრაფისა და სპეციფიკურობის გამო ამ საფარზე ხეირიანად თამაში ჩოგბურთელი კაცების ერთ მეხუთედს თუ გამოსდის, განსაკუთრებით კი მძლავრი მოწოდება და ბადესთან ოსტატობა ფასობს. სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან მასპინძელთა ჯილები — ტიმ ჰენმანი და გრეგ რუზეცკი, ცაცია ავსტრალიელი უეინ არტურსი და სამგზის ფინალისტი გორან ივანიშევიჩი, ასევე ამომავალი ამერიკელი ვარსკვლავი ენდი როდიკი.

გამონაკლისს რაფტერის თანამემამულე ლეიტონ ჰიუიტი წარმოადგენს. 20 წლის ოზი ტყვიასავით მოწოდების არქონას უზუსტესი მიღებებითა და შემოვლებულობით ანაზღაურებს, სისწრაფით ბარე ერთ-ორს არ ჩამოუვარდება და თუ შარშანდელივით ნერვებმა არ დაალალატა, ანდრე აგასის შემდეგ პირველი უკანახაზელი შეიძლება გახდეს, ვინც უიმბლდონის დაპყრობას მოახერხებს.

## ვაჟთა რეკორდები

| |
|---|
| ყველაზე მეტი ტიტული ერთეულებში |
| პიტ სამპრასი და უილიამ რენშოუ — 7 |
| უმრწემსი ჩემპიონი |
| ბორის ბეკერი — 17 წელი და 227 დღე (1985) |
| ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი |
| არტურ გორი — 41 წელი და 182 დღე (1909) |
| ყველაზე ხანმოკლე ფინალი |
| უილიამ რენშოუ — ჯონ ჰარტლი 6:0, 6:1, 6:1 — 37 წუთი (1881) |
| ყველაზე ხანგრძლივი ფინალი |
| ჯიმი კონორსი — ჯონ მაკინროი 3:6, 6:3, 6:7 (2:7), 7:6 (7:5), 6:4 — 4 საათი და 16 წუთი (1982) |
| ყველაზე მაღალი ჩოგბურთელი |
| მილან შრაიბერი — 203 სმ (1986-1990) |
| ყველაზე დაბალი ჩოგბურთელი |
| ფრენკ ემპონი — 150 სმ (1948-53) |

## უიმბლდონის ყველა ჩემპიონი ვაჟი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2000 | პიტ სამპრასი | 1963 | ჩაკ მაკკინლი | 1919 | ჯერალდ პეტერსონი |
| 1999 | პიტ სამპრასი | 1962 | როდ ლეივერი | 1914 | ნორმან ბრუქსი |
| 1998 | პიტ სამპრასი | 1961 | როდ ლეივერი | 1913 | ენტონი უილდინგი |
| 1997 | პიტ სამპრასი | 1960 | ნილ ფრეიზერი | 1912 | ენტონი უილდინგი |
| 1996 | რიჩარდ კრაიჩეკი | 1959 | ალექს ოლმედო | 1911 | ენტონი უილდინგი |
| 1995 | პიტ სამპრასი | 1958 | ეშლი კუპერი | 1910 | ენტონი უილდინგი |
| 1994 | პიტ სამპრასი | 1957 | ლუ ჰოუდი | 1909 | არტურ გორი |
| 1993 | პიტ სამპრასი | 1956 | ლუ ჰოუდი | 1908 | არტურ გორი |
| 1992 | ანდრე აგასი | 1955 | ტონი ტრაბერტი | 1907 | ნორმან ბრუქსი |
| 1991 | მიხაელ შტიხი | 1954 | იაროსლავ დრობნი | 1906 | ლორი დოერტი |
| 1990 | სტეფან ედბერგი | 1953 | ვიკ სექშასი | 1905 | ლორი დოერტი |
| 1989 | ბორის ბეკერი | 1952 | ფრენკ სეჯმანი | 1904 | ლორი დოერტი |
| 1988 | სტეფან ედბერგი | 1951 | დიკ სევიტი | 1903 | ლორი დოერტი |
| 1987 | პატ კეში | 1950 | ბაჯ პეტი | 1902 | ლორი დოერტი |
| 1986 | ბორის ბეკერი | 1949 | ტედ შრედერი | 1901 | არტურ გორი |
| 1985 | ბორის ბეკერი | 1948 | ბობ ფალკენბურგი | 1900 | რეჯი დოერტი |
| 1984 | ჯონ მაკინროი | 1947 | ჯეკ კრამერი | 1899 | რეჯი დოერტი |
| 1983 | ჯონ მაკინროი | 1946 | ივონ პეტრა | 1898 | რეჯი დოერტი |
| 1982 | ჯიმი კონორსი | 1939 | ბობი რიგსი | 1897 | რეჯი დოერტი |
| 1981 | ჯონ მაკინროი | 1938 | დონ ბაჯი | 1896 | ჰეროლდ მეჰოუნი |
| 1980 | ბიორნ ბორგი | 1937 | დონ ბაჯი | 1895 | უილფრედ ბედლი |
| 1979 | ბიორნ ბორგი | 1936 | ფრედ პერი | 1894 | ჯოშუა პიმი |
| 1978 | ბიორნ ბორგი | 1935 | ფრედ პერი | 1893 | ჯოშუა პიმი |
| 1977 | ბიორნ ბორგი | 1934 | ფრედ პერი | 1892 | უილფრედ ბედლი |
| 1976 | ბიორნ ბორგი | 1933 | ჯეკ კროუფორდი | 1891 | უილფრედ ბედლი |
| 1975 | არტურ ეში | 1932 | ელსვერთ ვაინსი | 1890 | უილიამ ჰამილტონი |
| 1974 | ჯიმი კონორსი | 1931 | სიდნი ვუდი | 1889 | უილიამ რენშოუ |
| 1973 | იან კოდეში — ალექსანდრე | 1930 | ბილ ტილდენი | 1888 | ერნსტ რენშოუ |
| | მეტრეველი 6:1, 9:8, 6:3 | 1929 | ანრი კოშე | 1887 | ჰერბერტ ლოუფორდი |
| 1972 | სტენ სმიტი | 1928 | რენე ლაკოსტი | 1886 | უილიამ რენშოუ |
| 1971 | ჯონ ნიუკომბი | 1927 | ანრი კოშე | 1885 | უილიამ რენშოუ |
| 1970 | ჯონ ნიუკომბი | 1926 | ჟან ბოროტრა | 1884 | უილიამ რენშოუ |
| 1969 | როდ ლეივერი | 1925 | რენე ლაკოსტი | 1883 | უილიამ რენშოუ |
| 1968 | როდ ლეივერი | 1924 | ჟან ბოროტრა | 1882 | უილიამ რენშოუ |
| 1967 | ჯონ ნიუკომბი | 1923 | უილიამ ჯონსტონი | 1881 | უილიამ რენშოუ |
| 1966 | მანუელ სანტანა | 1922 | ჯერალდ პეტერსონი | 1880 | ჯონ ჰარტლი |
| 1965 | როი ემერსონი | 1921 | ბილ ტილდენი | 1879 | ჯონ ჰარტლი |
| 1964 | როი ემერსონი | 1920 | ბილ ტილდენი | 1878 | ფრენკ ჰედოუ |
| | | | | 1877 | სპენსერ გორი |

# უიმბლდონი 2001

**შტეფი გრაფის** სპორტიდან წასვლის შემდეგ ქალებში ერთი რომელიმე ჩოგბურთელის ბატონობის ეპოქა წარსულს ჩაბარდა — გასულ ოთხ წელიწადში უიმბლდონი ოთხმა სხვადასხვა დიაცმა მოიგო და არავის გაუკვირდება, თუ ორი კვირის თავზე კიდევ ერთი ახალგამომცხვარი ჩემპიონი მოგვევლინება.

გასაკვირი ის იქნება, თუ ამ ახალი სახის პატრონი ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი არ გამოდგა. 25 წლის ყოფილმა ვუნდერკინდმა კომაში გატარებული მრავალი სეზონის შემდეგ წლეულს გამოიღვიძა, დანგრევის პირას მყოფი კარიერა ისევ სწორ გზაზე დააბრუნა და მილიონობით ჩოგბურთის ქომაგის გასაოცრად, ავსტრალიის ღია პირველობა და როლან გაროსი მოიგო. თუ ამერიკელი ასეთივე სასწაულის მოხდენას „ოლ ინგლენდ კლაბშიც" მოახერხებს, სრულიად წარმოუდგენელ მიღწევამდე — დიდი სლემის მოპოვებამდე მხოლოდ მშობლიურ „ფლაშინგ მედოუზზე" ტრიუმფილა დარჩება.

„მთავარია, მთელ ამ არეულობას დროულად დავუსხლტე, დავისვენო, განვიტვირთო და უიმბლდონს სრულ მზადყოფნაში შევხვდე. არ მინდა, ლონდონში თავი ათასი სისულელით მქონდეს გამოჭედილი" — განაცხადა პარიზში კაპრიატიმ. ჯანიანმა ჩოგბურთელმა ამ კვირაში ჰოლანდიაში ტურნირზე ასპარეზობა იუარა და შინ, ფლორიდაში დაბრუნდა, თუმცა დრო უქმად არ გაუტარებია და სახლთან ახლოს მდებარე ბალახის კორტებზე ბევრი ივარჯიშა.

„ჯენიმ როლან გაროსის შემდეგ რამდენიმე კილო კიდევ დაიკლო წონაში. აქ ძალიან ცხელა და ოფლი ღვარად გვდის — განუცხადა ჟურნალისტებს ამერიკელის სპარინგ-პარტნიორმა და ახლო მეგობარმა კევინ ოკონორმა — ის ფიზიკურად არაჩვეულებრივად ძლიერად გამოიყურება და არც ის აშინებს, რომ უიმბლდონზე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოხვედრა ელის."

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა პარიზში აღიარა, რომ დღეისთვის პლანეტის უძლიერესი ჩოგბურთელი ის კი არა, სწორედ კაპრიატია და ამაში მოულოდნელიც არაფერია — ამერიკელმა წლეულს მას სამივე პირად შეხვედრაში აჯობა. 20 წლის შვეიცარიელი უიმბლდონზე მაინც პირველადაა განთესილი, თუმცა მის გამარჯვებას, ალბათ, სენსაციად თუ აღიქვამენ.

1999 წლის ავსტრალიის ღია პირველობიდან მოყოლებული ჰინგისს დიდი სლემის ერთი ტურნირიც არ მოუგია და თავდაჯერება მომრავლებულ კუნთმაგარ მეტოქეებთან ბევრმა მწარე მარცხმა შეურყია. „ერთადერთი, რაც შემიძლია, სწავლა და უკეთ თამაშია, რათა შანსები მომავალშიც მომეცეს. ადრეც დავამტკიცე, რომ ამ ტურნირზე გამარჯვება ჩემს ძალებს არ აღემატება" — იხტიბარს არ იტეხს შვეიცარიელი, რომელმაც აქ 16 წლისამ იმარჯვა.

როდესაც ფავორიტებზე მიდგება საქმე, დები უილიამსების დავიწყება როგორ იქნება, თანაც შავი ოჯახის შარშანდელი თავგადასავლების შემდეგ. 2000-ის ნახევარფინალში ვინუსის მიერ სერენას დამარცხება ბევრს ჯერაც შინაოჯახურ, „ჩაწყობილ" შედეგად მიაჩნია, უფროსი დისა და რიჩარდ უილიამსის ცენტრალურ კორტზე კუნტრუშდავლური კი ინგლისელებს კიდევ მრავალი წლის მანძილზე არ დაავიწყდებათ.

წლეულს, რიჩარდის ანტირასისტულ ბრალდებებს თუ არ ჩავთვლით, უილიამსებმა გაზეთების პირველი გვერდები კაპრიატისთან გამართულ დაძაბულ ბრძოლაში დათმეს, თუმცა უიმბლდონი სწორედ ის ადგილია, სადაც მათ საპასუხო დარტყმის განხორციელების შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცემათ. კაცურად ძლიერი მოწოდება-დარტყმების მქონე, არამშვენიერსქესურად ათლეტური დებისთვის ბალახი ყველაზე მოსახერხებელი საფარია, ასე რომ, თუ ხშირ ტრავმიანობას არ დაეჩაგვრინებიან, სრულიად შავი ფინალის გამორიცხვაც არ შეიძლება.

„ამ დილით ჩემს მწვრთნელს (რობერტ ვან ჰოფს) ვესაუბრებოდი ამაზე და ორივენი იმ დასკვნამდე მივედით, რომ ერთი აშკარა ფავორიტის გამოყოფა არ შეიძლება. თავში მხოლოდ ჯენიფერ კაპრიატის სახელი მომდის, მაგრამ წარსულში ბალახზე მას ციდან ვარსკვლავები არ დაუკრეფია, ამიტომ მისი გამორჩევაც ძნელია" — ეს ლინდსი დევენპორტის შეფასება გახლავთ. ძონძროხა ამერიკელი თავად შარშანწინდელი ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტია, ამიტომ მისი სიტყვების ნდობის გარდა რეალურ პრეტენდენტთა სიაში ჩართვაც ალალი იქნება.

ზემოხსენებული ბობოლების გარდა უპრიანია, ახალი თაობის სამი ნიჭიერი და ამბიციური მოთამაშე — როლან გაროსის ფინალისტი კიმ კლაისტერსი, მისი თანამემამულე ჟიუსტინ ენენი და იანვრიდან იუგოსლავიის პასპორტით ხელდამშვენებული ელენა დოკიჩი მოვიხსენიოთ, ყველა ძლიერი სქესის ქომაგს კი უიმბლდონზე ანა კურნიკოვასა და მარი პირსის არყოფნა მივუსამძიმროთ.

**ავთანდილ სვანიძე**



ვინუს უილიამსი

## ქალთა რეკორდები

| |
|---|
| ყველაზე მეტი ტიტული ერთეულებში |
| **მარტინა ნავრატილოვა — 9** |
| უმრწემესი ჩემპიონი |
| **შარლოტ დოდი — 15 წელი და 285 დღე (1887)** |
| ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი |
| **შარლოტ კუპერ სტერი — 37 წელი და 282 დღე (1908)** |
| ყველაზე ხანმოკლე ფინალი |
| **სიუზან ლენგლენი — ირენ მელორი 6:2, 6:0 — 23 წუთი (1922)** |
| ყველაზე ხანგრძლივი ფინალი |
| **მარგარეტ სმიტ კორტი — ბილი ჯინ კინგი 14:12, 11:9 — 2 საათი და 28 წუთი (1970)** |
| ყველაზე მაღალი ჩოგბურთელი |
| **ლინდსი დევენპორტი — 188 სმ (1993-2001)** |
| ყველაზე დაბალი ჩოგბურთელი |
| **კლერ ჰოუინგი — 145 სმ (1937-38)** |

## უიმბლდონის ყველა ჩემპიონი ქალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2000 | ვინუს უილიამსი | 1965 | მარგარეტ სმიტი | 1924 | კეტლინ მაკკეინი |
| 1999 | ლინდსი დევენპორტი | 1964 | მარია ბუენო | 1923 | სიუზან ლენგლენი |
| 1998 | იანა ნოვოტნა | 1963 | მარგარეტ სმიტი | 1922 | სიუზან ლენგლენი |
| 1997 | მარტინა ჰინგისი | 1962 | კარენ ჰანც სუსმანი | 1921 | სიუზან ლენგლენი |
| 1996 | შტეფი გრაფი | 1961 | ანჯელა მორტიმერი | 1920 | სიუზან ლენგლენი |
| 1995 | შტეფი გრაფი | 1960 | მარია ბუენო | 1919 | სიუზან ლენგლენი |
| 1994 | კონჩიტა მარტინესი | 1959 | მარია ბუენო | 1914 | დოროთი ლამბერტ ჩემბერსი |
| 1993 | შტეფი გრაფი | 1958 | ალთეა გიბსონი | 1913 | დოროთი ლამბერტ ჩემბერსი |
| 1992 | შტეფი გრაფი | 1957 | ალთეა გიბსონი | 1912 | ეთელ ტომსონ ლარკომბი |
| 1991 | შტეფი გრაფი | 1956 | შირლი ფრაი | 1911 | დოროთი ლამბერტ ჩემბერსი |
| 1990 | მარტინა ნავრატილოვა | 1955 | ლუიზ ბრაფი | 1910 | დოროთი ლამბერტ ჩემბერსი |
| 1989 | შტეფი გრაფი | 1954 | მორინ კონოლი | 1909 | დორა ბუთბი |
| 1988 | შტეფი გრაფი | 1953 | მორინ კონოლი | 1908 | შარლოტ კუპერ სტერი |
| 1987 | მარტინა ნავრატილოვა | 1952 | მორინ კონოლი | 1907 | მეი სატონი |
| 1986 | მარტინა ნავრატილოვა | 1951 | დორის ჰართი | 1906 | დოროთი დუგლასი |
| 1985 | მარტინა ნავრატილოვა | 1950 | ლუიზ ბრაფი | 1905 | მეი სატონი |
| 1984 | მარტინა ნავრატილოვა | 1949 | ლუიზ ბრაფი | 1904 | დოროთი დუგლასი |
| 1983 | მარტინა ნავრატილოვა | 1948 | ლუიზ ბრაფი | 1903 | დოროთი დუგლასი |
| 1982 | მარტინა ნავრატილოვა | 1947 | მარგარეტ ოზბორნი | 1902 | მიურიელ რობი |
| 1981 | კრის ევერტ ლოიდი | 1946 | პოლინ ბეცი | 1901 | შარლოტ კუპერ სტერი |
| 1980 | ივონ გულაგონგ კოული | 1939 | ელის მარბლი | 1900 | ბლანშ ბინგლი ჰილიარდი |
| 1979 | მარტინა ნავრატილოვა | 1938 | ჰელენ უილს მუდი | 1899 | ბლანშ ბინგლი ჰილიარდი |
| 1978 | მარტინა ნავრატილოვა | 1937 | დოროთი რაუნდი | 1898 | შარლოტ კუპერი |
| 1977 | ვირჯინია უეიდი | 1936 | ჰელენ ჯეიკობსი | 1897 | ბლანშ ბინგლი ჰილიარდი |
| 1976 | კრის ევერტი | 1935 | ჰელენ უილს მუდი | 1896 | შარლოტ კუპერი |
| 1975 | ბილი ჯინ კინგი | 1934 | დოროთი რაუნდი | 1895 | შარლოტ კუპერი |
| 1974 | კრის ევერტი | 1933 | ჰელენ უილს მუდი | 1894 | ბლანშ ბინგლი ჰილიარდი |
| 1973 | ბილი ჯინ კინგი | 1932 | ჰელენ უილს მუდი | 1893 | შარლოტ დოდი |
| 1972 | ბილი ჯინ კინგი | 1931 | სილი ოსემი | 1892 | შარლოტ დოდი |
| 1971 | ივონ გულაგონგი | 1930 | ჰელენ უილს მუდი | 1891 | შარლოტ დოდი |
| 1970 | მარგარეტ სმიტ კორტი | 1929 | ჰელენ უილსი | 1890 | ლენა რაისი |
| 1969 | ენ ჰეიდონ ჯონსი | 1928 | ჰელენ უილსი | 1889 | ბლანშ ბინგლი ჰილიარდი |
| 1968 | ბილი ჯინ კინგი | 1927 | ჰელენ უილსი | 1888 | შარლოტ დოდი |
| 1967 | ბილი ჯინ კინგი | 1926 | კეტლინ მაკკეინ გოდფრი | 1887 | შარლოტ დოდი |
| 1966 | ბილი ჯინ კინგი | 1925 | სიუზან ლენგლენი | 1886 | ბლანშ ბინგლი |
| | | | | 1885 | მოდ უოტსონი |
| | | | | 1884 | მოდ უოტსონი |

## ქალების ბადე

1/32 1/16 1/8 1/4 1/2

- ჰინგისი (1) — რუანო პასკუალი
- კრასნარუცკაია — სიდო
- სფარი — კარლსონი
- შვარცი — რუბინი (25)
- კ. მარტინესი (19) — ბედანოვა
- პუჩეკი — კასიკი
- ოსტერლო — ტუ
- სალერნი — სანჩეს-ვიკარიო (13)
- დემენტიევა (10) — ბრედშოუ
- ლამადე — ხლადკოვა
- ვაინგარტნერი — პულინი
- დომინიკოვიჩი — ჰუბერი (18)
- რეიმონდი (28) — ლატიმერი
- ბასტინგი — კროსი
- ბუგერტი — ჯეიასლანი
- პიტკოვსკი — ენენი (8)
- კაპრიატი (4) — ვენტო
- ირვინი — სკიავონე
- გარსია — პისნიკი
- დრაგომირი — პანოვა (32)
- სუარესი (22) — მისკინა
- ლაგოსტერა — სუგიამა
- ჰაბსუდოვა — შნიცერი
- მაკქუილანი — ტესტიუ (15)
- მალეევა (12) — ფერნანდესი
- კლეინოვა — ბოვინა
- კეთავონგი — ჯ. ლი
- ვავრინეცი — ფრეზერი (20)
- კრემერი (26) — ბრანდი
- გალიარდი — ალი
- გლასი — რიტნერი
- კუტი კისი — ს. უილიამსი (5)
- კლაისტერსი (7) — კასონი
- ნოლა — დრეიკი
- გრანდე — ბარნა
- რაზანო — მონტოლიო (27)
- შონესი (17) — მაიოლი
- კრუგერი — მარერო
- კოლინი — ლუა
- ფორე — კუტცერი (11)
- დოკიჩი (14) — ლოს რიოსი
- დიას-ოლივა — ჰოპკინსი
- ბალტაჩა — დეში
- ტალაია — შეტი (21)
- შნიდერი (30) — ნეიდლი
- კანდარი — გარიგესი
- მოლიკი — კასტანო
- სუჩა — დევენპორტი (3)
- მორესმო (6) — პრატი
- დანილიდუ — ბახევა
- ჩერვანოვა — ბუტე
- კ. ბლექი — ტანასუგარნი (31)
- ნაგიოვა (24) — სერა-ძანეტი
- ვუდროფი — ტულიაგანოვა
- ჰუსაროვა — მანდულა
- პრაკუსია — ტოზია (9)
- ფარინა (16) — გერში
- გარბინი — სტივენსონი
- პლიშკე — მ. მარტინესი
- პეტროვა — სერნა (23)
- ლიხოვცევა (29) — კრეიბასი
- ტორენს ვალერო — სმეშნოვა
- ორემანსი — ჰანტუჩოვა
- ასაგოე — ვ. უილიამსი (2)



ხოსეპ გვარდიოლა



ჯუზეპე სინიორი

# ხოსეპ გვარდიოლამ ლიპი და ტაპი დააჯახა

## ჯუზეპე სინიორი კი მშვიდობიანი კაპიტა

„იუვენტუსის“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, სიამოვნებით გადავიბირებდი ხოსეპ გვარდიოლასო. გავიხსენოთ, რომ ეს ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს და „ბარსელონადან“ წასვლა ნებისმიერ დროს უსასყიდლოდ შეეძლება.

„ბებერი ქალბატონის“ თავკაცის და საყოველთაო აზრითაც, გვარდიოლა მოედნის ცენტრში შეუფასებელ სამუშაოს ასრულებს. ჩინებული პასებით ამარაგებს თავდამსხმელებს და მეტოქეთა შეტევებსაც უბადლოდ შლის. ნებისმიერი კლუბი იოცნებებდა გვარდიოლას დონის მოთამაშეზე და რადგან ესპანელის გადაბირება „ბარსელონადან“ უსასყიდლოდაა შესაძლებელი, ეს შანსი „იუვენტუსმა“ ხელიდან არ უნდა გაუშვას.

ლიპის აზრი გაიზიარა „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო ბეტეგამაც. მან განაცხადა, რომ შეეცდება, ესპანელი „დელე ალპიზე“ მოხვდეს და არა სხვაგან. არადა, ასეთი რამ შესაძლებელია, რადგან გვარდიოლას ხელში ჩაგდებას რამდენიდე პრემიერლიგური კლუბიც ცდილობს.

თუმცა „იუვენტუსისთვის“ გვარდიოლას გადაბირების საქმეში მთავარი კონკურენტი მარსელის „ოლიმპიკი“ იქნება.

თავისთავად, „იუვენტუსი“ სჯობს „ოლიმპიკს“, მაგრამ აქ არ შეიძლება, დავივიწყოთ ბერნარ ტაპის ფაქტორი. ტაპიმ, ვინაც ცხრა წლის წინ „ოლიმპიკი“ ევროპული ფეხბურთის მწვერვალზე აიყვანა და მერე მწარედ დაეცა, ახალ „ოლიმპიკს“ ქმნის და გვარდიოლა სათავისოდ შეუგულებია. ჰოდა, ტაპის გაქანების ამბავი რომ ვიცით, ნუ გავიკვირვებთ, თუ კატალონიელთა კერპმა, მარსელის „ველოდრომზე“ ამოჰყოს თავი.

კიდევ ერთი ცნობილი და გამოცდილი ფეხბურთელი, რომელიც მალე შესაძლოა „იუვენტუსის“ მაისურით ვიხილოთ, ჯუზეპე სინიორია. მარჩელო ლიპის მისი მიწვევა თურმე, ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა მილანის „ინტერს“ ჩაუდგა სათავეში, რასაც თავად სინიორიც ადასტურებს, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. ახლა კი ლიპის „იუვენტუსში“ განუზრახავს ჩანაფიქრის განხორციელება.

თავად თავდამსხმელმა განაცხადა: „ბოლონიაში“ ბედნიერი ვარ. თუმცა ერთიც არის — ბოლო ხანს მაღალი ადგილებისთვის ველარ ვიბრძვით და გასავარდნ ზონასთან ვტრიალებთ. ეს კი არ მსურს. რაც შეეხება ლიპისთან გადასვლას, იგი „ინტერშიც“ მიწვევდა და ახლაც არ გამოვრიცხავ, რომ „იუვენტუსში“ მიმიპატიჟოს, რაზეც უარს არ ვიტყვი.“

**ნიკა შუბლაძე**

# უკაცო ევროპაში ქალებს ათამაშებენ

**ქალთა** ფეხბურთი ახალი ხილი სულაც არაა, თუმცა მაინც ეგზოტიკურ სახეობად რჩება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან ასეა. ამერიკაში, გერმანიაში, ნორვეგიასა თუ ჩინეთში კი ქალთა ფეხბურთს უფრო მეტ პატივს სცემენ, რაკი იქაური ქალები მსოფლიო ფეხბურთის ელიტას წარმოადგენენ.

დღეს გერმანიაში ქალთა ევროპის ჩემპიონატი იწყება და ამიტომ ჩინელი და ამერიკელი ფეხბურთელები სულაც არ გვაინტერესებს. რაც შეეხება, გერმანიისა და ნორვეგიის ნაკრებებს, ისინი ტურნირის უდავო ფავორიტებად ითვლებიან.

გერმანელთა მწვრთნელმა ტინა ტეუნმეიერმა თქვა, ორივე ჯგუფი თანაბარი ძალისაა, ჩვენ კი მხოლოდ ჩემპიონობა დაგვაკმაყოფილებსო. გერმანელები, ევროპის წინა ჩემპიონები, გახსნით მატჩში მასპინძლებს ხვდებიან.

აი, ფრანგთა თავქალი ელიზაბეტ ლუასელი თვლის, რომ უფრო ძლიერ ჯგუფში მოხვდა, თუმცა ეს ახარებს კიდეც: ჩვენი ჯგუფის მატჩები იმ ქალაქში იმართება, რომელიც საფრანგეთთან უფრო ახლოსააო.

აი, ამას ჰქვია ქალური ლოგიკა!

ფრანგთა ჯგუფის ფავორიტი, როგორც აღვნიშნეთ, ნორვეგიაა და ყველაზე ძნელი ბრძოლა იტალიელებთან გადახდება, რაკი იტალიელები წინა ჩემპიონატის ფინალისტები არიან.



ევროპის ოთხგზის ჩემპიონი გერმანიის ნაკრები

### ევროპის ქალთა ჩემპიონატი

**A ჯგუფი**

**გერმანია, შვედეთი, რუსეთი, ინგლისი**

| | |
|---|---|
| 23.06 | გერმანია — შვედეთი |
| 24.06 | რუსეთი — ინგლისი |
| 27.06 | გერმანია — რუსეთი |
| | შვედეთი — ინგლისი |
| 30.06 | ინგლისი — გერმანია |
| | შვედეთი — რუსეთი |

**B ჯგუფი**

**ნორვეგია, საფრანგეთი, იტალია, დანია**

| | |
|---|---|
| 25.06 | ნორვეგია — საფრანგეთი |
| | იტალია — დანია |
| 28.06 | ნორვეგია — იტალია |
| | საფრანგეთი — დანია |
| 01.07 | დანია — ნორვეგია |
| | საფრანგეთი — იტალია |

**1/2 ფინალი. 04.07**

ა1 — B2

B1 — ა2

**ფინალი 07.07**

### ყველა ჩემპიონი

| | |
|---|---|
| 1984 | შვედეთი |
| 1987 | ნორვეგია |
| 1989 | გფრ |
| 1991 | გერმანია |
| 1993 | ნორვეგია |
| 1995 | გერმანია |
| 1997 | გერმანია |
| 1999 | არ გამართულა |

### ფეხბურთის რუკასთან

**იტალიურმა** „ატალანტამ“, რაც ქვეყანაში სატრანსფერო სეზონი გაიხსნა, უკვე მესამე ფეხბურთელი შეიძინა. ბერგამოულმა კლუბმა ამჯერად „მილანის“ ნახევარმცველი პიერლუიჯი ორლანდინი გადაიბირა და მის სანაცვლოდ 4 მილიონი დოლარი გადაიხადა. 31 წლის ფეხბურთელი დაბრუნდა კლუბში, სადაც მას 1991 წელს სერია A-ში დებიუტი ჰქონდა. ორლანდინის ასევე უთამაშია „პარმაში“, „ვერონასა“ და „ლეჩეში“, ხოლო წინა სეზონში იგი განათხოვრებით „ბრეშას“ ღირსებას იცავდა. „ატალანტას“ ახლო მომავალში „ჯუბილო ივატადან“ იაპონელი ვარსკვლავის, ჰიროში ნანამის ყიდვაც სურს.

**ესპანეთის მეორედივიზიონურ კლუბ „მურსიას“ ერთბაშად სამი მოთამაშე ახალ სეზონს „უდინეზეში“ დაიწყებს. მეკარე ტონი მერნალმა, მცველმა ესტებანმა და ფორვარდმა ისააკმა უდინურ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. მათ შესაძლოა „უდინეზეს“ შემადგენლობაში ინტერტოტოს თასზეც ითამაშონ. მერნალი 23 წლისაა, ხოლო ესტებანი — 20-ის. მისი თანატოლია ისააკიც, რომელმაც შარშანდელ სეზონში 27 გოლი გაიტანა და ესპანეთის მეორე დივიზიონის ბომბარდირი გახდა.**

**ბრაზილიური** სააგენტოების ცნობით, „კრუზეიროს“ ახალ მწვრთნელად პარაგვაის ნაკრების ყოფილი თავკაცი პაულო სეზარ კარპეჯანი დაინიშნა. ამ კლუბის ხელმძღვანელობას ახალ სეზონში სერიოზული მიზნები აქვს და გამოცდილი მწვრთნელიც ამიტომ მიიწვია. შეგახსენებთ, რომ კარპეჯანი პარაგვაის ნაკრებს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავკაცობდა და მისი გუნდი მერვედფინალში მომავალ ჩემპიონ ბრაზილიასთან დამარცხდა.

**შვეიცარიელმა მცველმა რამონ ვეგამ შოტლანდიის ჩემპიონ „სელტიკის“ რიგები დატოვა და „უოტფორდში“ გადაბარგდა. იგი იტალიელი მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის პირველი ახალშენაძენია. ფეხბურთელმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 30 წლის ვეგა „სელტიკში“ შარშან „ტოტენჰემიდან“ ჩაირიცხა და გლაზგოურ კლუბში 26 მატჩი გამართა. მას შვეიცარიის ნაკრებში 23 შეხვედრა ჩაუტარებია და ერთი გოლიც გაუტანია, 1998 წელს ამხანაგურ თამაშში ინგლისის ნაკრების კარიც კი დალაშქრა. ვეგას იმედი აქვს, რომ „უოტფორდი“ გაისად პრემიერლიგაში გადავა და ვიალის გუნდშიც ამიტომ გადავიდა.**

# მესამედ პორტუგალიაში ზაჰოვიჩი შინ ბრუნდება



**სლოვენიელი** შემტევი ნახევარმცველი ზლატკო ზაჰოვიჩი კვლავ პორტუგალიას უბრუნდება. ლისაბონის „ბენფიკამ“ ოცდაათი წლის ფეხბურთელის შესაძენად ჯიბეზე ხელი გაიკრა და „ვალენსიას“ სანაცვლოდ რვა მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი დოლარი შესთავაზა. სლოვენიელმა ჟურნალისტებმა ისიც თქვეს, რომ ეროვნული ნაკრების მეათე ნომერს პორტუგალიელები მილიონ შვიდასიათასიან წლიურ ჯამაგირსაც ჰპირდებიან.

„ვალენსიას“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ზლატკო ზაჰოვიჩს შეუძლია, პორტუგალიაში გადაბარგდეს. სანაცვლოდ ლისაბონელები „მესტალიაზე“ ნიჭიერ ყმაწვილს, მცველ კარლოს მარკენას გაუშვებენ.

ზლატკო ზაჰოვიჩისთვის, რომელსაც თავის დროზე საქართველოს ნაკრების დაცვაც და მეკარე საკმაოდ გვარიანად აუწიოკებია, პორტუგალია, შეიძლება ითქვას, მეორე სამშობლოა. აქამდე მას „ვიტორია გიმარაეშისა“ და „პორტოს“ რიგებში უბურთავია. შემდეგ იყო ბერძნული „ოლიმპიაკოსი“. გასული წელი სლოვენიელმა ექტორ რაულ კუპერის ხელში ერთობ უსახურად გალია და „ვალენსიას“ ძირითადშიც იშვიათად ხვდებოდა.

ახლა კი ზაჰოვიჩი ფრთების გაშლას აპირებს: „ფიქრი პორტუგალიაში დაბრუნებაზე ძალიან მხიბლავს. მათი ფეხბურთის სტილი საჩემოა. პორტუგალიაში თავს უკვე შინაურად ვგრძნობ“.

პორტუგალიური კლუბი ზაჰოვიჩთან კონტრაქტს მომდევნო კვირაში, ხუთშაბათს გააფორმებს. ვალენსიელებიც ალბათ მაშინ წარუდგენენ ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს გუნდის ახალ წევრს, სლოვენიელის სანაცვლოდ მიღებულ კარლოს მარკენას.

**გიორგი გამარდაშვილი**

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

იყიდება
ვიოლინო, ზომა 3/4.
ტელ: 33-27-36

# მერთგან უფულობა, მეორეგან გაუტანლობა


გურამ [illegible] ფოტო

## ბერძენიშვილი სლოვაკი ფარმაცევტების ხელში

*საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების „სლოვაკი“ ლეგიონერი დავით ბერძენიშვილი ორიოდ დღეა, რაც თავის კლუბს, „სლოვაკოფარმას“ დაუბრუნდა. ჩვენებურმა, მართალია, „ლევიცეში“ დაასრულა სეზონი და სლოვაკეთის ბრინჯაოს პრიზიორიც გახდა, მაგრამ ამ კლუბში ჩემპიონატის ბოლომდე იყო განათხოვრებული და რაკი ეს ვადა ამოიწურა, ბერძენიშვილის ბედს კვლავაც „სლოვაკოფარმა“ განსაზღვრავს. ცნობისთვის: სლოვაკეთის უცვლელ ჩემპიონთან დათოს კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. სად გააგრძელებს კარიერას ბერძენიშვილი? დაიტოვებს მას „სლოვაკოფარმა“ თუ კვლავ გაანათხოვრებს? ან იქნებ სხვა ქვეყანაში გაყიდონ კიდეც? — ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად სლოვაკეთში გამგზავრებამდე დათოს ინტერვიუზე შევუთანხმდით...*

— ბოლო დროს „სლოვაკოფარმაში“ ლამის დაუსრულებელი რეფორმები მიმდინარეობს. ჯერ კიდევ შუა სეზონში დატოვა პოსტი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა შტეფან ტოტმა. მას რეგულარულ ჩემპიონატში „სვიტთან“ ორი თამაშის წაგება არ აპატიეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მით უფრო, რომ მისი ხელმძღვანელობით „სლოვაკოფარმა“ ადგილობრივ ჩემპიონატში მანამდე არნახული სხვაობით, 14 ქულით დამარცხდა. ამის მერე მწვრთნელად დადგა მილან ჩერნიცკი, რომელიც მანამდე ტოტის თანაშემწე იყო. ჩერნიკიმ, მართალია, გუნდი ჩემპიონი გახადა, მაგრამ სეზონის დასრულების შემდეგ „სლოვაკოფარმას“ თავკაცობამ მისი გაშვებაც მოიწადინა. მე და ჩერნიცკი სამი წელი ერთად ვთამაშობდით „სლოვაკოფარმაში“, მოთამაშის კარიერა მან სულ ახლახან დაასრულა. ნიჭიერი ბიჭი კია, მაგრამ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას მთლად კარგად ვერ აუღო ალღო. გამოცდილება აკლია, კალათბურთელებთანაც ნაკლებ პრინციპულობას იჩენდა. სულ ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ ჩერნიცკიც წავიდა და ამიერიდან გუნდს ბრატისლავის „ინტერის“ აწ უკვე ყოფილი თავკაცი ლიუბომირ ურბანი გაწვრთნის. იგი ამავდროულად სლოვაკეთის კადეტთა ნაკრების მწვრთნელიცაა და ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მცოდნე სპეციალისტად ითვლება.

**— ყოველივე ამან რა გავლენა შეიძლება მოახდინოს თქვენს შემდგომ კარიერაზე?**

— დაზუსტებით ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ გამორიცხული არაა, ურბანი ჩემით დაინტერესდეს და „სლოვაკოფარმაში“ დამტოვოს. ამიტომაც მივემგზავრები სლოვაკეთში ადრიანად, თორემ კლუბი 15 ივლისს იწყებს მზადებას ტატრების მთებში. მე თავად „სლოვაკოფარმადან“ დამიკავშირდნენ და მირჩიეს, დაუყოვნებლივ ჩავსულიყავი.

**— ალბათ, ურბანს პირდაპირ სურს თქვენთან ლაპარაკი...**

— მეც ასე ვფიქრობ. ვისაუბრებთ, ერთმანეთის აზრს მოვისმენთ და ალბათ, მერელა მიიღებს მწვრთნელი გადაწყვეტილებას. ისე, მე და ურბანი საკმაოდ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, საცაა ხუთი წელი გახდება, რაც სლოვაკეთში ვთამაშობ.

**— თავად თუ გაქვთ „სლოვაკოფარმაში“ დარჩენის სურვილი?**

— რაღა დაგიმალოთ და ამ ვარიანტით მაინცდამაინც მოხიბლული არ ვარ. იგივე „ლევიცესთან“ შედარებით, მართალია, ბევრად ტიტულიანი კლუბია, მაგრამ გუნდში არსებული ვითარება მაღიზიანებს. „სლოვაკოფარმას“ თავკაცები კალათბურთელებს ზემოდან გვიყურებენ, პირადული არაფერი აინტერესებთ, გამორჩენაზე არიან, მოთამაშეებს ერთმანეთის სამტროდ გვიბიძგებენ. სამი წელი გავატარე ამ კლუბში და ვიცი, რაც ხდება.

**— მაშ, „ლევიცეში“ დარჩენა უფრო გაძლევთ ხელს...**

— ყველაფერს მაინც ფინანსები წყვეტს, გააჩნია, ვინ რა პირობებს შემომთავაზებს. „ლევიცეს“ ცოტა არ იყოს, ფინანსურად უჭირს, მესამე ადგილზე რომ გავედით, კლუბის ხელმძღვანელებს ძალიან გაუხრდათ, მაგრამ იმდენი ვერ მოახერხეს, რომ კალათბურთელებისთვის მცირე პრემიები მაინც დაერიგებინათ. ახლა, როგორც ვიცი, ძალიან მონდომებულები არიან, ამ საკითხით ქალაქის მერიც დაინტერესდა და ძველი შემადგენლობის შენარჩუნება განუზრახავთ. ვნახოთ, თუ მისაღები პირობები შემიქმნეს, იქნებ ახალ სეზონს კვლავ „ლევიცეში“ შევხვდე. ისე, ყველაფერი მაინც „სლოვაკოფარმას“ გადასაწყვეტია, სხვა სლოვაკურ კლუბში თამაშის უფლება მან უნდა მომცეს.

**— სხვა ქვეყნის კლუბებმა რომ მოგიწვიონ?**

— კონტრაქტში ესეც არის გათვალისწინებული და რომელიმე ქვეყნიდან რეალური წინადადება რომ მივიღო, „სლოვაკოფარმა“ დიდად ვერ შემაფერხებს. თუმცა გარკვეულ თანხას მაინც აიღებს კომპენსაციის სახით.

**— აქამდე არავის მოუმართავს თქვენთვის?**

— ავსტრიულ და უნგრელ კლუბებზეა ლაპარაკი. ამ საკითხზე ჩემი მენეჯერი მუშაობს და სავსებით შესაძლებელია, რომელიმე ქვეყანაში გადავბარგდე. ხომ ხედავთ, კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეუბნებით, სავარაუდოდ, ამ თვის ბოლოს უკვე ყველაფერი მეცოდინება.

**— მანამდე დაისვენებთ?**

— არა, პეზინოკში ჩავალ თუ არა, მეორე დღესვე შევუდგები ვარჯიშს. ინდივიდუალურად საგანგებო გრაფიკით მოვემზადები, რათა ფორმა შევინარჩუნო, მერე კი ვნახოთ...

**გიორგი ბიჭაშვილი**

# ფაჩულიას და ცქიტიშვილს ნბა-ს მწვრთნელები ავარჯიშებენ

**საქართველოს** კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ორი წევრი — თურქეთის ჩემპიონ „ულქერის“ ჩვიდმეტი წლის ზაზა ფაჩულია და სლოვენიის ბრინჯაოს მფლობელ „სლოვანის“ თვრამეტი წლის ნიკა ცქიტიშვილი იტალიაში იმყოფებიან. იქ, ქალაქ ტრევიზოში, ცნობილი იტალიური კლუბი „ბენეტონი“, ფირმა „ნაიკის“ ხელშეწყობით ყოველწლიურად ახალგაზრდა, ტანმაღალ კალათბურთელთა საწვრთნელ-საჩვენებელ შეკრებას აწყობს, რომელშიც მრავალი მაღალი დონის ევროპელი და ამერიკელი სპორტსმენი მონაწილეობს. მათ ჩამოთვლას ახლა არ მოვყვებით, გეტყვით მხოლოდ, რომ წლევანდელ შეკრებაზე იტალიის ნაკრებისა და „ბენეტონის“ წამყვანი მოთამაშე დენის მარკონატო იმყოფება. ტრევიზოში მრავალი სპეციალისტი იყრის თავს. გამონაკლისი არც წლეულსაა. ევროპელ კალათბურთის მცოდნეთა გარდა იტალიაში ნბა-ს რამდენიმე მწვრთნელიცაა, რომელთა ხელმძღვანელობითაც მიმდინარეობს ვარჯიშები. სწორედ ასეთი დონის შეკრებაზე იმყოფებიან ჩვენი ნაკრების წევრები, რაც პირველად ხდება.

შეკრება 21 ივნისს დაიწყო და სამ დღეს გასტანს. მონაწილეებს ყოველდღე ორი ორსაათნახევრიანი ვარჯიში აქვთ, რომლებსაც ძირითადად ნბა-ს მწვრთნელები ატარებენ. ტრევიზოში ძირითადად ახალგაზრდა კალათბურთელები არიან თავმოყრილი, მაგრამ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ყველაზე უმცროსები არიან. ყველაზე მაღალი კალათბურთელი კი გერმანიიდანაა. მისი სიმაღლე 219 სანტიმეტრია.

იტალიაში ჩატარებული ვარჯიშები ჩვენს კალათბურთელებს უეჭველად დიდ გამოცდილებას შესძენს, ხელს შეუწყობს მათი სათამაშო კლასის ამაღლებას. „მე და ნიკა ძალიან კმაყოფილები ვართ. აქ ბევრ ძლიერ კალათბურთელთან გვიწევს ვარჯიში. ნბა-ს მწვრთნელებთან მუშაობაც ძალიან საინტერესოა. ჩვენი მიზანია, გამოცდილება შევიძინოთ, აქ ჩატარებული ვარჯიშები მომავალში გამოგვადგება“ — გვითხრა ზაზა ფაჩულიამ, როცა მას გუშინ ტრევიზოში დავუკავშირდით.

ტრადიციულად ასეთ შეკრებებს სპეციალისტების კალათბურთელებით დაინტერესება მოჰყვება ხოლმე. იტალიაშიც ალბათ ასე მოხდება. როგორც ზაზამ გვითხრა, ჯერ ვარჯიშები უნდა დასრულდეს და კლუბების წარმომადგენლები შემდეგ დაელაპარაკებიან მათთვის სასურველ კალათბურთელებს.

**ირაკლი ბერტაია**

## ესპანეთი


**ბარსელონელები პაუ გასოლი (№16) და შარუნას იასიკევიჩუსი ერთმანეთს ჩემპიონობას ულოცავენ**

### პლეი ოფი

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 3 |
| რეალი | 0 |

**რეალი 84:96 ბარსელონა**

რეალი: ლოპესი (4), ერეროსი (15), ლ. ანგულო (5), მიკი (11), სტრიულენსი (4), ა. ანგულო (15), მილიჩი (9), იტურბე (3), ჯორჯევიჩი (15), ზიდეკი (3)

ბარსელონა: იასიკევიჩუსი (18), ნავარო (12), კარნიშოვასი (7), გასოლი (22), დუენიასი (11), როდრიგესი (9), რენციასი, დე ლა ფუენტე (2), ელსონი, სავიჩი (12), ჰოკინსი (3)

# ლუკასს მეცამეტეობა არ ეამა

**„კლივლენდურ კავალერიას“** ახალი მხედართმთავარი ჰყავს. ორი თვის წინ გუნდიდან გაგდებული რენდი ვიტმენის ადგილი 47 წლის შავკანიანმა ჯონ ლუკასმა დაიკავა, რომელიც 1992-96 წლებში „სან ანტონიოსა“ და „ფილადელფიას“ თავკაცობდა, ბოლო სამი წელი კი „დენვერის“ მწვრთნელის თანაშემწე იყო და მთავარ მწვრთნელობაზე ოცნებობდა. ოფიციალური „კლივლენდი“ ლუკასთან კონტრაქტის პირობებს არ ამხელს, არაოფიციალურად კი, მწვრთნელი სამ სეზონს უსარდლებს „კავალერიას“ და ამ საქმეში რვა თუ ცხრა მილიონ დოლარს აიღებს. თავად ლუკასი ნახევრად ხუმრობით ამბობს, მთავარ მწვრთნელად დაბრუნებამ იმდენად გამახარა, მართალი რომ გითხრათ, კონტრაქტის პირობებისთვის არც გადამიხედავს, პირდაპირ მოვაწერე ხელიო.

ბატონ ლუკასისთვის „კლივლენდის“ მწვრთნელობა ცხოვრებაში მეორე შანსია და კარგად მოეხსნება, რომ თუ მას არ ჩაეჭიდა, ნბა-ს გუნდის თავკაცობას საბოლოოდ უნდა გამოეთხოვოს. ამიტომაც იგი პირველივე დღეებიდან აქტიურ საქმიანობას შეუდგა, „კლივლენდის“ გენერალურ მენეჯერ ჯიმ პაქსონს ვრცელი სამოქმედო გეგმა წარუდგინა, სათითაოდ დაურეკა და ახლოს გაეცნო ყველა კალათბურთელს და არც პრესასთან ჩაიგუბა პირში წყალი. „მე მათ ვუთხარი, გუნდში ენერგიის ისეთ ტალღას მივიტან, მანამდე რომ არ უნახავთ. არ გეგონოთ, გუნდის აღმშენებლობის სამწლიანი ან ხუთწლიანი გეგმა მქონდეს, არც იმას გპირდებით, რომ მომავალ წელს ჩემპიონები გავხდებით, უბრალოდ, გუნდი უკეთ ითამაშებს, წინ ნაბიჯს გადადგამს. ვფიქრობ, ხელმძღვანელობასაც ეს უნდა“ — ამბობს ლუკასი.

„კლივლენდის“ ხელმძღვანელობას კი, პირველ ყოვლისა, შიდაგუნდური უთანხმოებისა და არეულობის აღმოფხვრა უნდა. ყოფილი მთავარი მწვრთნელის, რენდი ვიტმენის ხელში რამდენიმე კალათბურთელმა სულ აიშვა. მართალია, შარშან გუნდმა გაუშვა ოცი კილოგრამით გასუქებული და გაზულუქებული ვარსკვლავყოფილი შონ კემპი, მაგრამ „კავალიერზში“ მის გარდაც ბევრი ამრევი დარჩა.

ჯონ ლუკასს კი ოკეანგაღმა კომუნიკაბელურ, ამავდროულად, წესრიგის მოყვარულ კაცად იცნობენ, რომელსაც ბევრი ჭირვეული ვარსკვლავი მოურჯულებია. ისე კი, როგორც თავად ამბობს, ყველაზე მეტად ის აღელვებს, რომ „კლივლენდის“ 31-წლიან ისტორიაში მეცამეტე მთავარი მწვრთნელია. „მე „კავალიერზის“ უკანასკნელი მწვრთნელი არა ვარ და ცხადია, ოდესმე მომიწევს აქედან წასვლა, მაგრამ არ დაგიმალავთ და მეცამეტეობა არ მესიამოვნა“ — გულწრფელად აცხადებს ცრურწმენას აყოლილი შეფიქრიანებული ლუკასი.

**ივანე ძოწიაშვილი**


ჯონ ლუკასი

სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

**იტალია. სერია A. პლეი-აუტი**

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 002 | რეჯინა-ვერონა | 1,85 | 2,9 | 4,2 |

**პოლონეთი. პლეი-ოფი**

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 006 | სტომილი-პოლკოვიცე | 1,5 | 3,4 | 5,6 |

**რუსეთი. მე-14 ტური**

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 007 | ჩერნომორეცი-ზენიტი | 2,7 | 2,9 | 2,3 |
| 16.00 | 008 | როტორი-ანჟი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 009 | როსტსელმაში-ალანია | 2,0 | 2,8 | 3,3 |
| 16.00 | 010 | ზილ-ტორპედო | 4,0 | 2,9 | 1,75 |
| 16.00 | 011 | სატურნი-კრილია | 2,4 | 2,8 | 2,8 |
| 16.00 | 012 | ფაკელი-დინამო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 013 | ცსკა-სოკოლი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

**25 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 014 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 1,75 | 3,0 | 4,2 |

**შვედეთი**

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 018 | ნორჩიოპინგი-ჰეკენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**25 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 019 | ტრელებორგი-ჰამარბი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 020 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 021 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**ნორვეგია. მე-12 ტური**

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 023 | ლილესტრიომი-მოსი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 21.00 | 024 | ლინი-ტრომსიო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 025 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 026 | სოგნდალი-სტრიომგოდსეტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 027 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.05 | 028 | სტაბეკი-რუსენბორგი | 3,4 | 3,2 | 1,95 |

**ფინეთი**

**25 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 031 | ჰაკა-ჰიკ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 032 | ინტერი-ტამპერე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 033 | როვანიემი-ატლანტისი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

**ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი**

**23 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 036 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 037 | ბარსელონა-სელტა | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**ინტერტოტო. I ეტაპი. II მატჩები** 2001წ.

**23 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 502 | აიკ-კარმართენი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| 19.00 | 503 | კლიფტონვილი-ტილიგული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 504 | ტალინი-ჰაპოელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 505 | ლიეპაია-კორკი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 506 | გლორია-ჯაზი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 507 | ჰიბერნიანსი-ზაგლებე | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 20.00 | 508 | სლავენი-ანორთოსისი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 20.30 | 509 | ბილისი-უნივერსიტატია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 20.30 | 510 | ცელიე-ორჰუსი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 511 | სარტიდი-დანდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.30 | 512 | ლოზანა-სენტ ჯულია | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 23.00 | 513 | ლოკერენი-ტოფტირი | 1,05 | 8,0 | 16,0 |

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 514 | შირაქი-ტატაბანია | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 515 | ვილიაში-გრინდავიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 516 | სპარტაკი (ვარნა)-გროცლინი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 517 | პობედა-ზაგრები | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.00 | 518 | პეტრჟალკა-ეკრანასი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 519 | ჰობშაიდი-დინამო (მინსკი) | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| **20.00** | **520** | **რიდი-ვიტ ჯორჯია** | **ანგარიში - 5,0** | | |
| 21.00 | 521 | დენიზლი-ჩელიკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის ჭაბუკები (არგენტინაში)**

**23 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 537 | ფინეთი-ეგვიპტე | 1,7 | 3,2 | 4,0 |
| 22.00 | 538 | არგენტინა-იამაიკა | 1,2 | 4,0 | 6,0 |
| 22.00 | 539 | გერმანია-ერაყი | 1,5 | 2,8 | 5,6 |
| 22.00 | 540 | ბრაზილია-კანადა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 541 | აშშ-უკრაინა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 22.00 | 542 | ჩინეთი-ჩილე | 1,75 | 3,2 | 3,5 |

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 543 | ანგოლა-ავსტრალია | 2,6 | 2,7 | 2,5 |
| 22.00 | 544 | ჩეხეთი-იაპონია | 1,55 | 3,5 | 5,0 |
| 22.00 | 545 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 2,6 | 1,8 | 2,6 |
| 22.00 | 546 | ეთიოპია-ჰოლანდია | 5,6 | 3,6 | 1,5 |
| 22.00 | 547 | განა-საფრანგეთი | 3,0 | 2,0 | 2,3 |
| 22.00 | 548 | პარაგვაი-ირანი | 1,45 | 3,6 | 5,6 |

**ევროპის ჩემპიონატის ქალები (გერმანიაში)**

**23 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.15 | 549 | გერმანია-შვედეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**24 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 550 | რუსეთი-ინგლისი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**25 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 551 | იტალია-დანია | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.45 | 552 | ნორვეგია-საფრანგეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

**უიმბლდონის ტურნირის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)
ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა


სარბიელი
სპორტული
ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

# ᲞᲔᲠᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ




REUTERS მულტიმედიადან

ხორვატია — ესპანეთი. ესპანელთა მეკარე ხესუს როლანი ბურთს იგერიებს, მისი თანაგუნდელი გაბრიელ ერნანდესი (№7) იგორ ჰინიჩს ეჭიდავება

ვაჟები. მეოთხედფინალი

**ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 7:6 ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ**
**ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ 10:9 ᲠᲣᲡᲔᲗᲘ**
**ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ 8:7 ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ**
**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 7:6 ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ**

ალფრედ ჰაიოშის საცურაო სტადიონზე მისული 8 ათასამდე გულშემატკივარი წყალბურთელთა ევროპის 25-ე ჩემპიონატის მეოთხედფინალის მოლოდინში გარინდულიყო. გარდა იმისა, რომ ისინი თანამემამულეთა მხარდასაჭერად ემზადებოდნენ, საინტერესო მატჩის მოლოდინშიც იყვნენ. მეოთხედფინალში, ისევე როგორც სიდნეის ოლიმპიური თამაშების ფინალში, პირისპირ მარადი ისტორიული მეტოქეები — უნგრეთი და რუსეთი იდგნენ. მათ შორის პაექრობა დაძაბულობით გამოირჩეოდა და გამონაკლისი არც ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატი ყოფილა. ყველაფერი კი 1956 წელს მელბურნის ოლიმპიადაზე დაიწყო. მაშინ საბჭოთა ტანკებით აწიოკებულმა მადიარებმა წითელი არმიისადმი ბოღმა მელბურნის „ოლიმპიურ წყალში" გადმოანთხიეს. იმ შეხვედრას დღეს იხსენებენ, როგორც სისხლიანს, რადგან, როგორც თვითმხილველები აცხადებენ, უნგრეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მატჩი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უფრო იყო, ვიდრე სპორტული პაექრობა. აუზს ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ დასახიჩრებული სპორტსმენები, აუზი კი სისხლით შეღებილიყო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ დაძაბულობა ჯერ კიდევ არ განელებულა.

მართალია, ახლა უფრო მშვიდობიანად მიმდინარეობს მატჩები უნგრეთსა და რუსეთს შორის, მაგრამ წარსულის კვალი მაინც ატყვია მათ ორთაბრძოლებს. ამიტომაცაა მათი შეხვედრები სანახაობრივი. უკმაყოფილონი არც ახლა დარჩებოდნენ წყალბურთის გულშემატკივრები. ისინი დრამატული მეოთხედფინალის მომსწრენი შეიქნენ. თუმცა ვისთვის როგორ. თავდაპირველად რუსებმა გახსნეს ანგარიში და ეს სულ 25 წამში მოახერხეს. 49-ე წამზე უნგრელებმა გაათანაბრეს. მერე ისევ სტუმრები დაწინაურდნენ. რასაც უნგრელთა საპასუხო ბურთი მოჰყვა. მესამე წუთზე კი რევაზ ჩომახიძემ წინ გაიყვანა რუსეთი, თუმცა პირველი მეოთხედის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მასპინძლებმა ხელახლა შეძლეს ანგარიშის გაქვითვა. პირველი შვიდწუთეულის დასრულების შემდეგ მეტოქეებმა აუზი სამ-სამი გატანილი ბურთით დატოვეს. მეორე მეოთხედში უნგრელმა ატილა ვარიმ მეტოქეებს შოუ მოუწყო. მან ორჯერ დაარბია რუსების დაცვა: პირველად — მეორე შვიდწუთეულის 56-წამზე, მეორედ კი მის დასრულებამდე 10 წამით ადრე. რუსებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს. მესამე მეოთხედში კი მათაც გამოილეს ხელი და ამჯერად თავად დატოვეს აუზი გამარჯვებულებმა — 3:2.

დადგა გადამწყვეტი მეოთხედიც. მეტოქეები გაафთრებით ეკვეთნენ ერთმანეთს. პირველი ბურთი მასპინძელმა პეტერ ბოროშმა შეაგდო რუსთა კარში. რამდენიმე წამში კი ამას ჩომახიძის შეტევა და ანგარიშის გათანაბრება მოჰყვა — 8:8. თუმცა ცოტა ხანში მას აუზიც დაატოვებინეს, ეს უკვე მესამედ. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მეორე ბურთიც სტუმრებმა გაიტანეს და დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მასპინძლებმა ისევ აღადგინეს სტატუს-კვო. მატჩის დაძაბულობაზე ჯარიმებიც მიუთითებს, თუმცა ამ შემთხვევაში უფრო მეტად რუსეთის ნაკრები დაისაჯა. მათი მოთამაშეები 18-ჯერ ამოაბრძანეს აუზიდან. ეს მაშინ, როდესაც მასპინძლებს მხოლოდ 9-ჯერ დაატოვებინეს ასპარეზი. ამან გარკვეულად ხელი შეუწყო სტუმართა დასუსტებას. მიუხედავად ამისა, მათ მეტოქეს არაერთხელ გაუჩინეს თავსატეხი. ბოლო ორი წუთი რუსებისთვის საბედისწერო გამოდგა. მატჩის დამთავრებამდე მათ ორი მოთამაშე გაუგდეს, მადიარებს — ერთი. წუთნახევრით ადრე კი მასპინძლებმა ნახევარფინალში გასასვლელი ბურთი შეაგდეს რუსეთის ნაკრების კარში — 10:9. რევანში არ შედგა. მიუხედავად ამისა, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი თავისი გუნდით კმაყოფილია: „ვფიქრობ, ჩვენ უნგრელებზე უკეთ ვითამაშეთ. რაც შეეხება მსაჯობას, თუ მათ ასეთი გამარჯვება სჭირდებოდათ, მიიღეს კიდეც" — მატჩის შემდეგ გუნდის ტრენერი ჩანდა ალექსანდრ კაბანოვი.

ევროპის ჩემპიონატის ბაქანს მიღმა დარჩნენ ესპანეთი, სლოვაკეთი და საბერძნეთი.

სხვათა შორის, სლოვაკეთის ნაცვლად შეიძლებოდა იუგოსლავია გვეხილა, ისევე როგორც საბერძნეთის ნაცვლად იტალია. პირველ წყვილში ნახევარფინალისტის საგზურის მფლობელი ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე სამი წამით ადრე გაირკვა. 7 ათასი მაყურებელი ძალიან კი ცდილობდა, იუგოსლაველთა შეტევები ჩაეშალა, მაგრამ გაწბილდა.

კიდევ უფრო საინტერესო გამოდგა იტალიისა და საბერძნეთის შეხვედრა. თავდაპირველად აპენინელები დაწინაურდნენ. პირველი ბურთის ავტორის, ფრანჩესკო პოსტილიონეს დამსახურებაა, რომ „სკუადრა ატურა" ნახევარფინალში მოხვდა. ბოლო მეოთხედის ბოლო წამზე, როდესაც ანგარიში 6:6 იყო, პოსტილიონემ ისევ შეძლო ელინთა კარის დალაშქვრა და თანამემამულეები ნახევარფინალში გაიყვანა — 7:6.

**ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ნახევარფინალი

**ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ — ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ**
**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ — ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ**

ᲰᲝᲙᲔᲘ

# ᲓᲠᲐᲤᲢᲘ ᲗᲣ ᲡᲐᲢᲠᲔᲘᲓᲝ-ᲪᲘᲔᲑ-ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ?




იარომირ იაგრი

**23-24 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ** ფლორიდაში ტრადიციული, რიგით 39-ე დრაფტი ჩატარდება. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტთა უმეტესობა წლევანდელ სადრაფტო თაობას ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულს უწოდებს, შაბათ-კვირის არჩევის ცერემონიალი, საყოველთაო ვარაუდით, უფრო ღირსშესანიშნავი ტრეიდებით დაამახსოვრდება ჰოკეის ქომაგს. თავად განსაჯეთ — იარომირ იაგრი, ალექსეი იაშინი, მაიკ პეკა და კიდევ არაერთი ცნობილი ჰოკეისტი შესაძლოა სწორედ დრაფტის დღეებში გაიცვალონ. როგორც ამბობენ, ის გუნდები, რომლებსაც დრაფტის პირველი ნომრები აქვთ, ყველაზე მეტად იაქტიურებენ სუპერვარსკვლავთა გადასაბირებლად.

მაგალითად, „ნიუ იორკ აილენდერსი", რომელსაც არჩევის მეორე უფლება აქვს, დიდ ინტერესს იჩენს იაშინის მიმართ. როგორც ჩანს, რუსის დღეებში ოტავაში დათვლილია. მართალია, მან რეგულარული ჩემპიონატი საუცხოოდ ჩაატარა და თითქოს დაიბრუნა ქომაგთა ნდობა, მაგრამ სათასო ბრძოლებში ისევ გამოამჟღავნა გულგრილობა. ამიტომ ოტავა მას იოლად შეელევა. ჰოდა, სწორედ აილენდერსს ასახელებენ ფავორიტად იაშინისთვის ბრძოლაში, რომელშიც ერთბაშად 12 კლუბია ჩაბმული.

პირველი არჩევის უფლებას კი ატლანტა, ალბათ, მეამბოხე მაიკ პეკას ხელში ჩასაგდებად გამოიყენებს. აილენდერსის დარად, ატლანტასაც სჭირდება გამოცდილი მოთამაშე, რომელზეც გუნდის თამაშს ააგებს. ამიტომაც სიამოვნებით დაუთმობს პეკას ამჟამინდელ კლუბ ბუფალოს უძლიერეს იუნიორს. მით უმეტეს, რომ ორი წლის წინ, როცა ატლანტას ასევე პირველი არჩევის უფლება ჰქონდა, აყვანილმა ჩეხმა პატრიკ შტეფანმა თავისი პოტენციალი ჯერ ვერ გამოავლინა.

იაგრის სიტუაცია კი უფრო ჩახლართულია. სასურველია, რომ ჩეხი 1 ივლისამდე, ანუ თავისუფალ აგენტთა ბაზრის გახსნამდე გაიყიდოს, რადგან დაგვიანების შემთხვევაში პიტსბურგმა შესაძლოა ნაკლები კომპენსაცია მიიღოს. ამიტომ კლუბის მფლობელმა მარიო ლემიემ პირნათლად განაცხადა, რომ ჩეხს სავარაუდოდ დრაფტის დღეებში გაყიდის. იაგრს მომავალ სეზონში 10,3 მილიონ დოლარს გადაუხდიან და თუ მას გაყიდიან, „პინგვინებს" საშუალება მიეცემათ, დანარჩენი ლიდერების კონტრაქტებიც განაახლონ. მეტსაც გეტყვით, მავანი ამერიკელ მიმომხილველის თქმით, უკვე მზადდება შეთანხმება რეინჯერსთან, რომელიც თითქოს თანახმაა, ორი-სამი ნიჭიერი ახალგაზრდა გაწიროს, მათ შორის — შარშანდელი დრაფტის მეოთხე ნომერი პაველ ბრენდლიც. მაგრამ გუშინ პიტსბურგის გენერალურმა მენეჯერმა კრეიგ პატრიკმა სენსაციური განცხადება გააკეთა. „ვინ თქვა, თითქოს ვილაცის გაცვლას ვაპირებთ? და საერთოდ, არა მგონია, დრაფტის დღეებში რამე მოხდეს" — თქვა მან და დასძინა, რომ კლუბი სულაც არ აგებს თავის გეგმებს იაგრზე. აი ასე, არც მეტი, არც ნაკლები. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ კლუბების მესვეურებს ასეთი გადამწყვეტი მოვლენების წინ გულახდილობა არ სჩვევიათ.

ახლა დრაფტში მონაწილეებზეც ვთქვათ. მათგან პირველ ორ ადგილს, უმრავლესობის აზრით, რუსი ილია კოვალჩუკი და კანადელი ჯეისონ სპეცა გაითამაშებენ. 18 წლის კოვალჩუკს უკვე უწოდეს „სენსაცია მოსკოვიდან" და მას შანსი აქვს, თანამემამულეთაგან პირველად გახდეს დრაფტის პირველი ნომერი (მანამდე ალექსეი იაშინმა (1992) და ოლეგ ტვერდოვსკიმ (1994) მეორე ნომრები მოიპოვეს). ერთ-ერთი სკაუტის თქმით, კოვალჩუკს ოსტატობაში, სისწრაფესა და ძალაში ვერც ერთი თანატოლი ვერ შეედრება. ცნობისთვის: ეს ჰოკეისტი უკვე მესამე სეზონია, მოსკოვის „სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და წლეულს თვრამეტწლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელი და ბომბარდირი გახდა.

რაც შეეხება ჯეისონ სპეცას, იგი ტანმაღალი (190 სმ) მოთამაშის კვალობაზე იშვიათი პლეიმეიკერული ნიჭით გამოირჩევა. სპეცა ერთ-ერთი საუკეთესო იყო 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე კანადის ნაკრებში.

**ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ**

# ᲚᲔᲙᲚᲔᲠᲛᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲝᲐᲒᲕᲐᲠᲐ

**ᲡᲐᲜᲐᲛ** ერიკ ლინდროსი ფილადელფიის მესვეურებს ეომება, „მფრინავთა" კიდევ ერთმა წამყვანმა მოთამაშემ, ჯონ ლეკლერმა მშვიდად და აუღელვებლად მოაგვარა თავისი საკონტრაქტო პრობლემები და მეტად სარფიანად გაურიგდა კლუბის ხელმძღვანელობას. მართალია, ჯონმა ტრავმების გამო ლამის მთელი სეზონი გამოტოვა და სულ 16 მატჩი ჩაატარა, მაგრამ მის ოსტატობასა და ნაყოფიერებაში ეჭვი არავის ეპარება.



ჯონ ლეკლერი

და აი, ამ დღეებში ლეკლერმა კიდევ ხუთი წლით გაახანგძლივა თანამშრომლობა ფილადელფიასთან. ფინანსური მხარე, როგორც ყოველთვის, უცნობია, მაგრამ ზოგიერთი იუწყება, რომ ფორვარდის ხელფასი დაახლოებით 8,5-9 მილიონ დოლარს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეკლერი 32 წლისაა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მაღალი ხელფასით კარიერის ბოლომდე უზრუნველყოფილია.

ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ ლეკლერი ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ფრთად და ძალისმიერ ფორვარდად სწორედ ფილადელფიაში იქცა, სადაც 1995 წელს გადავიდა. „მფრინავთა" რიგებში მან სამჯერ გადალახა 50-შაიბიანი ზღვარი, 1999-2000 წლების სეზონში კი 40 გოლითა და 37 პასით გუნდში საუკეთესო იყო.

როგორც ჩანს, მალე დასრულდება ლინდროსის თითქოსდა გაუთავებელი საკონტრაქტო დავა ფილადელფიასთან. მას შემდეგ, რაც გუნდის გენერალური მენეჯერი ბობი კლარკი ერიკს დაემუქრა, კიდევ ერთ სეზონს გამოგატოვებინებო, ჰოკეისტმა თავის აგენტსა და მამასთან, კარლ ლინდროსთან ერთად პოზიცია დათმო. კლუბი ვარსკვლავს გაცვლას უპირებს, მთავარ ვარიანტად კი კვლავ ტორონტოს ასახელებენ. ერთი კი ცხადია — ლინდროსი ფილადელფიაში აღარ ითამაშებს.

**ᲡᲐᲛᲕᲔᲚ ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ**

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ

ნოტინგემის (ინგლისი)
ღია პირველობა
ბალახი. საპრიზო 350 ათასი $

**მეოთხედფინალი: ᲞᲐᲠᲔᲚ ᲚᲔᲕᲘ (7, ისრაელი) — უეინ ფერერა (2, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:4; ᲢᲝᲛᲐᲡ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ (3, შვედეთი) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 7:6 (7:3); ᲔᲜᲓᲘ ᲠᲝᲓᲘᲙᲘ (აშშ) — მიხალ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:4, 6:4; ᲒᲠᲔᲒ ᲠᲣᲖᲔᲓᲡᲙᲘ (ინგლისი) — მარტინ ლი (ინგლისი) 6:3, 6:2.**

აშშ-ის უპირველესი საჩოგბურთო იმედი, ენდი როდიკი თანდათან თავისთვის ახალ — ბალახის საფარსაც გაუშინაურდა. 18 წლის იანკიმ მწვანე კორტზე პროფესიული კარიერის პირველი მატჩი გასულ კვირაში „ქუინსის" ტურნირზე ჩაატარა და პირველი მარცხიც იგემა, თუმცა ჭკუა სწრაფად ისწავლა და ახლა თამაშიდან თამაშამდე უმატებს.

შვეიცარიელ მიხალ კრატოხვილთან მატჩში ახალგაზრდა ფლორიდელი ეისს ეისზე ურტყამდა, ბადესთანაც რიგიანად ირჯებოდა და საათნახევრიანი მატჩით ადგილობრივი სკოლის მოსწავლე გოგონების გული ისე მოიგო, ლამის ყველა მატჩის შემდეგ ავტოგრაფისთვის რიგი დაუდგა. „ეი-როდს" უარი ერთისთვისაც არ უთქვამს.

„ისე, შინ ასეთი პოპულარობით არ ვსარგებლობ... ბალახზე თამაში თიხნარისგან ძალიან განსხვავდება, უკანა ხაზიდან თამაში ძნელია, რაც შეიძლება, მეტი უნდა გარისკო. სწორედ იმიტომაა პიტ სამპრასი უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი, რომ ამას არ უფრთხის."

ტურნირზე მესამედ განთესილ ტომას იოჰანსონს წინა კვირაში ჰალეში ბარძაყის ტრავმა აწუხებდა, ინგლისში მხარს უჩივის და კორტზე ექიმებს იძახებს, მაგრამ ზედიზედ 8 მატჩის მოგებაში ხელს მაინც ვერაფერი და ვერავინ უშლის. მეოთხედფინალში შვედი უეინ არტურის 24 ეისს გადაურჩა და მტკიცე ნერვების წყალობით ორ ტაი-ბრეიკზე იმარჯვა.

ისტბორნი (ინგლისი)
BRITANNIC ASSET
MANAGMENT
CHAMPION-SHIPS
ბალახი. საპრიზო 565 ათასი $

**მეოთხედფინალი: ᲚᲘᲜᲓᲡᲘ ᲓᲔᲕᲔᲜᲞᲝᲠᲢᲘ (1, აშშ) — სილვია ფარინა (6, იტალია) 3:6, 6:2, 6:1; ᲛᲐᲨᲘ ᲡᲔᲠᲜᲐ (ესპანეთი) — მეგან შონესი (7, აშშ) 6:1, 7:6 (7:3); ᲩᲐᲜᲓᲐ ᲠᲣᲑᲘᲜᲘ (აშშ) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:4, 6:4; ᲔᲚᲔᲜᲐ ᲚᲘᲮᲝᲕᲪᲔᲕᲐ (რუსეთი) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3, 6:1.**

**ნახევარფინალი: ᲓᲔᲕᲔᲜᲞᲝᲠᲢᲘ — რუბინი 6:1, 6:1; ᲡᲔᲠᲜᲐ — ლიხოვცევა 5:7, 6:1, 7:5**

მარტის შემდეგ თავის პირველ ტურნირზე მოასპარეზე ლინდსი დევენპორტს საწუწუნო არაფერი აქვს. ხანგრძლივი შესვენების დროს მსოფლიოს მესამე ჩოგანს შეიძლება კორტზე რაღაც-რაღაცეები დაავიწყდა კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით ფონს შორეული მოგონებებითაც იოლად გადის. ის, რომ გადაგდებაზე თამაშს და კორტის ერთი კიდიდან მეორეში მოუქნელად სირბილის მარჯვენის მადიანად მოქნევა და მეტოქეთა დაფრთხობა სჯობს, ლინდსის, ალბათ ღრმა სიბერეშიც არ ესწავლება.

ჩია სილვია ფარინამ ამერიკელის გულმავიწყობით თავიდან კარგად ისარგებლა და პირველი ხელიც დასტყუა, მაგრამ როდესაც ლინდსიმ ჩვეულად, ჯანიანად შემოსცხო ბურთს ჩოგანი, თეთრი ბაირაღის გადმოფენის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ**

ჰერცოგენბოში (ჰოლანდია)
„ჰაინეკენის" ღია პირველობა
ბალახი. საპრიზო 570 ათასი $

**ᲥᲐᲚᲔᲑᲘ**

**მეოთხედფინალი: ᲙᲘᲛ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ (1, ბელგია) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:3, 6:4; ᲥᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲔᲜᲘ (2, ბელგია) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:4, 6:4; ᲔᲚᲔᲜᲐ ᲓᲝᲙᲘᲩᲘ (4, იუგოსლავია) — ჰენრიეტა ნაგიოვა (5, სლოვაკეთი) 6:2, 6:0; ᲘᲠᲝᲓᲐ ᲢᲣᲚᲘᲐᲒᲐᲜᲝᲕᲐ (უზბეკეთი) — ტატიანა პანოვა (7, რუსეთი) 1:6, 7:6 (7:2), 6:4**

**ნახევარფინალი: ᲔᲜᲔᲜᲘ — ტულიაგანოვა 6:3, 6:2; ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ — დოკიჩი 6:4, 6:2**

**ᲕᲐᲟᲔᲑᲘ**

**მეოთხედფინალი: ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ (ესპანეთი) — სხენგ შალკენი (7, ჰოლანდია) 6:3, 6:4; ᲒᲘᲚᲔᲠᲛᲝ ᲙᲐᲜᲐᲡᲘ (არგენტინა) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:3, 6:4; ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ (4, შვეიცარია) — რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) 6:7 (5:7), 6:4, 6:4; ᲚᲔᲘᲢᲝᲜ ᲰᲘᲣᲘᲢᲘ (1, ავსტრალია) — ჟილ ელსენერი (ბელგია) 6:2, 6:4**

საქართველოს ჩემპიონატი. V ტური

# შეგირდებმა კილასონიას იუბილე არ ჩაუმწარეს



[illegible] ფოტო

ლოკომოტივი — ყოჩები. კახა ალანიამ „ყოჩების" დაცვა გაჭრა

**მეხუთე** ტურის ცენტრალური მატჩი თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო სტადიონზე გაიმართა. ერთმანეთს ბზის თასის ორი ფავორიტი, მოქმედი ჩემპიონი „ლოკომოტივი" და ვიცეჩემპიონი „ყოჩები" დაუპირისპირდნენ. შარშანდელი დრამატული ფინალის შემდეგ გუშინდელი მეტოქეები არსად შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაშინ ფინალური შეხვედრა ფრედ დასრულდა, თუმც მეტი ლელოს წესით ბზის თასი მინიმუმ ერთწლიანი ვადით რკინიგზელებმა ჩაიბარეს.

ერთგვარი რევაშის სურვილი ამოძრავებდათ „ყოჩებს". ექსჩემპიონებმა უძლიერეს შემადგენლობას მოუყარეს თავი, თუმც ერთი დანაკლისი მაინც ჰქონდათ ამირან თეზელაშვილის შეგირდებს. ძირითადის შუამარბი გოჩა ბარძიმიშვილი თვრამეტკვირიანი დისკვალიფიკაციის გამო კარგა ხნით ჩამოშორდა მშობლიურ კლუბს. „ყოჩების" თავკაცობამ დანაკლისის შევსება ნუგზარ მგელაძის ძირითადში დაყენებით გადაწყვიტა.

ნუგზარი ყოფილი ბორჯღალოსანია, მაგრამ დიდი ხნის უვარჯიშებელს, ეტყობა, ძველებურად ველარ უჭრის მუხლი. მგელაძე ვერც კლუბის ტაქტიკურ მონახაზს მოერგო ბოლომდე, ამიტომ მეორე ტაიმის შუაწელში სანდრო საკანდელიძეთი შეცვალეს.

თავიანთი სიძლიერის დამტკიცებას აპირებდნენ რკინიგზელები. სასურველ მორაგბეებს მოუყარა თავი თემურ ბენდიაშვილმაც. სიურპრიზიც შემოგვთავაზა „ლოკომოტივის" უფროსობამ. შერკინების გამთამაშებელი, ტანმორჩილი ირაკლი აბუსერიძე გარემარბად გაამწესეს, ოდინდელ რკინიგზელ ნუკრი სარიშვილს კი ძველი ამპლუა გაახსენეს, მე-9 ნომრად დააყენეს. ასეთი ტაქტიკით „ლოკომოტივმა" წინა ტურში ასკ-თან ითამაშა, მაგრამ ბენდიაშვილი ამგვარ მნიშვნელოვან მატჩში თუ გარისკავდა, ამას ნამდვილად არ ველოდით.

ალბათ არც „ყოჩები" ელოდნენ, ვინაიდან მეტოქის ერთ-ერთ პირველი შეტევისას ფლანგზე მონავარდე ირაკლი აბუსერიძე გადაავიწყდათ და „აბუმაც" უკვე პირველივე წუთებზე დაალელოვა „ყოჩები". მანამდე ირაკლი გიორხელიძემ შეაგდო საჯარიმო და წინ „ლოკომოტივი" გავიდა — 5:3. აბა, ამის შემდეგ დაიწყო თუ დაიწყო. მოწინაალმდეგეები ჯიქურ ეკვეთნენ ერთმანეთს. ორივე გუნდის მწვრთნელი ხშირად წამოხტებოდა ხოლმე სათადარიგოთა სკამიდან და შეგრდთა გარჯაზე შესაბამისად რეაგირებდა.

განსაკუთრებით ამირან თეზელაშვილი გამოირჩეოდა. ყოჩთა მთავარ მწვრთნელს მთელი მატჩის განმავლობაში არ მოუსვენია, მუდამ პირით ხაზთან იდგა და თავის სამწყსოს რჩევებს აძლევდა. ამ ორომტრიალში უკეთ რკინიგზელები გამოიყურებოდნენ. მათმა დამრტყმელმა ბობა კვინიხიძემ ზუსტად მოიქნია მარჯვენა და საჯარიმო გაიტანა. ტაიმის მიწურულს „ყოჩების" მძლავრი იერიში ზვიად კიკუაშვილმა დააგვირგვინა ლელოთი და სანამ მიხეილ ჩაჩუა დასვენებისას ჩასტვენდა, ისევ კვინიხიძემ გაისროლა ზუსტად.

მეორე ორმოცწუთეული პირველზე კარგი სანახავი გამოდგა. შეტევის მიმართულება თვალის დახამხამებაში იცვლებოდა. დაძაბულობა ორივე კართან იქმნებოდა. ეგ იყო, შეტევის ბოლო ფაზაში სცოდავდნენ მეტოქეები. კვინიხიძემ და გიორხელიძემ არცთუ რთული საჯარიმოები გაანიავეს. სამაგიეროდ, ზვიად მაისურაძემ და ირაკლი ჩიქავამ გაცვალეს ლელოები. დამრტყმელთა დუელი კი კვინიხიძემ მოუგო გიორხელიძეს, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

სანამ „ლოკომოტივი" „ყოჩებს" დაუპირისპირდებოდა, ვარკეთილის სტადიონზე „უნივერსიტეტმა" და ასკ-მ ითამაშეს. „უნივერსიტეტის" ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი დავით კილასონია გუშინ დააკლდა სტუდენტების მწვრთნელთა შტაბს, ბატონ დავითს დღეს იუბილე აქვს: სახელოვან ვეტერანს ორმოცდაათი წელი უსრულდება. საამაყო შვილის დაფასება კი მშობლიურმა ნოქალაქევმა იკისრა და დღეს დიდი შეხვედრის მოწყობას უპირებს. თავად კილასონია გუშინვე გაემგზავრა ნოქალაქევში.

აბა, იუბილეს როგორ ჩაუმწარებდნენ სტუდენტები თავიანთ თავკაცს. საბოლოოდ მათ დიდი სხვაობით დაამარცხეს არმიული კლუბი, თანაც ეს თითქმის მეორე შემადგენლობით მოახერხეს.

ბათუმში ჩემპიონატის ლიდერმა „დათვებმა" ქუთაისის „აიას" უმასპინძლა და შინ უქულოდ გაუშვა.

**გაჩო სვანიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 4 | 4 | 0 | 0 | 109:60 | 8 |
| ლოკომოტივი | 5 | 4 | 0 | 1 | 141:72 | 8 |
| ყოჩები | 5 | 3 | 0 | 2 | 167:68 | 6 |
| უნივერსიტეტი | 5 | 2 | 0 | 3 | 120:65 | 4 |
| აია | 5 | 1 | 0 | 4 | 81:114 | 2 |
| ასკ | 4 | 0 | 0 | 4 | 13:253 | 0 |

ბათუმი. ანგისა. 22 ივნისი

**დათვები 44:12 აია**

დათვები: კიკნაძე, სვინტრაძე, პინჩუკოვი, კაპანაძე (ს. ევგენიძე), ხონელიძე, მაჩიტიძე (დავლაძე), გ. ხელაძე; ნინიძე, გურეშიძე (შენგელია), დ. აშვეთია (ლლონტი), ბერიძე, ფხაკაძე (არობელიძე), სვანიძე, უჩავა, ჩირგაძე

6ლ: უჩავა (2), ხელაძე, ფხაკაძე, ხონელიძე, კიკნაძე; 4გ: მაჩიტიძე (3), უჩავა; 1ს: უჩავა; 1ა: მაჩიტაძე

აია: ჩუბინიძე (ჩხაბერიძე), ნამჩევაძე, ზვიადაძე, თ. აშვეთია, ტორაძე, მ. ხელაძე, სორდია; დ. ბალანჩივაძე (ჭოლაძე), მ. კუხიანიძე (კიკვიძე), კოპალიანი (ქველიძე), კეპულაძე, დადუნაშვილი, გოგისვანიძე (ფრუიძე), ნემსაძე (გაბელია), საყვარელიძე

2ლ: საყვარელიძე, ჭოლაძე; 1გ: აშვეთია

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

მეთვალყურე: გელა მიქაბერიძე

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა 22 ივნისი

**უნივერსიტეტი 62:0 ასკ**

უნივერსიტეტი: კობახიძე, ეფხოშვილი (გ. კობერიძე), ირემაშვილი, ო. ელოშვილი (მაჩხანელი), ტუჩაშვილი (დგებუაძე), დ. მხეიძე, ჭყონია (დანელია); კვიტარაიძე, ქარაბაკი (კუთარაშვილი), კობიაშვილი (კეკელია), ბიძინაშვილი, წიკლაური, გვიჩიანი (გუნდიშვილი), ჯალალონია, ჩქარეული

9ლ: ქარაბაკი, გუნდიშვილი (3), კობახიძე (2), კობერიძე(2), მაჩხანელი; 7გ: მხეიძე; 1ს: მხეიძე

ასკ: სუთიაშვილი, ლადუა (იაკობიძე), ზაქარაიძე, მიქელაძე, გიორგობიანი, ფ. უდესიანი, გეგეშიძე (ჯეირანაშვილი); ლ. ლიპარტელიანი (ქაფიანი), ორდჟენიძე (ყატიური), მზარეულაშვილი, ხორგუაშვილი (კოპალიანი), გურგენიძე, ვაშაყმაძე, თათოესიანი, დათუნაშვილი

მსაჯი: გუგა ბაბუნაშვილი

მეთვალყურე: მიხეილ კალანდაძე

თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა 22 ივნისი

**ლოკომოტივი 21:13 ყოჩები**

ლოკომოტივი: ძნელაძე, ბუგიანიშვილი, ცხადაია (ანდღულაძე), ალანია, აბუსერიძე, კვინიხიძე, სარიშვილი (ასათიანი); კ. ჭელიძე (ქავთარაძე), ხინჩაგაშვილი, მაჭუტაძე, გიორგაძე, მოგელაძე, ზ. მაისურაძე (თოფურიძე), კახიანი, ბ. უდესიანი

2ლ: აბუსერიძე, მაისურაძე; 1გ: კვინიხიძე; 3ს: კვინიხიძე (2), ძნელაძე

ყოჩები: ზ. კობერიძე (ს. ლიპარტელიანი), იმნაძე (ნ. მხეიძე), ტრაპაიძე, მგელაძე (საკანდელიძე), კ. მხეიძე, კაჭარავა, გიორხელიძე; მელაძე (ჩიქავა), კიკუაშვილი, ფირიაშვილი, ხურცილავა, გუშარაშვილი (გოგშელიძე), ს. ჭელიძე, ზესაშვილი, გ. ხაბეიშვილი

2ლ: კიკუაშვილი, ჩიქავა; 1ს: გიორხელიძე

მსაჯი: მიხეილ ჩაჩუა

მეთვალყურე: ზურაბ ხარშილაძე



F1

მეცხრე ეტაპი — ევროპის დიდი პრიზი

## ნიურბურგრინგი

ნიურბურგი (გერმანია), 24 ივნისი




ტრასის სიგრძე . . . . . . . . . . . . . . . . . 4.556 კმ
რბოლის დისტანცია . . . . . . . . . . 67 წრე — 305.252 კმ

რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე

**შარშანდელი შედეგები:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ჰაკინენი (მაკლარენი); 3 კულჰარდი (მაკლარენი); 4 ბარიკელო (ფერარი); 5 ფიზიკელა (ბენეტონი); 6 დე ლა როსა (ეროუსი)

**წრის რეკორდი:** 1997 — ფრენცენი (უილიამსი) 1:18.805

**ყველა გამარჯვებული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1983 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი |
| 1984 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1985 | ნაიჯელ მენსენი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1993 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1994 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1995 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1996 | ჟაკ ვილნევი | კანადა | უილიამსი |
| 1997 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |
| 1999 | ჯონი ჰერბერტი | დიდი ბრიტანეთი | სტიუარტი |
| 2000 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |

# სამეფო რბოლების ევროპული ეკვატორი

**ფორმულის** წლევანდელმა ჩემპიონატმა შუა წელს მიაღწია — ხვალ მეცხრე ეტაპი შედგება.

სეზონის ლიდერი მიხაელ შუმახერი თითქმის ზუსტად მიჰყვება შარშანდელ საჩემპიონო გრაფიკს — 58 ქულა დააგროვა (მაშინ ორით ნაკლები ჰქონდა) და უახლოეს მდევარს 18 ქულით უსწრებს, მეორე ადგილზე კი ამჯერადაც „მაკლარენის" მეორე პილოტი დევიდ კულჰარდია. წლეულს მისი მონაგარი ექვსი ქულით გაიზარდა. მიმდინარე სეზონში მიხაელის უმთავრესი მეტოქეც სწორედ კულჰარდია და არა ტრადიციული მოქიშპე მიკა ჰაკინენი, რომელიც უხეიროდ ასპარეზობს და რვა რბოლაში მხოლოდ რვა ქულის დაგროვება შეძლო, თუმცა წინა კანადურ ეტაპზე პირველმა პოდიუმმა ორგზის ჩემპიონი ისე გაახარა, რომ ორი რბოლის წინ სასოწარკვეთილებამდე მისული ახლა ტიტულისთვის თუ არა, საპრიზო ადგილისთვის ბრძოლას აუცილებლად აპირებს და აცხადებს, მერე რა, რომ თანაგუნდელია, ცოცხალი თავით დევიდს წინ არ გავუშვებო.

წლეულს ყველაზე არასტაბილურად ერთ-ერთი დებიუტანტი ხუან პაბლო მონტოია ასპარეზობს — შვიდჯერ ფინიშამდე მიღწევა ვერ შეძლო და მარაგში მხოლოდ ექვსი ქულა აქვს, მაგრამ ამბიციები მაინც არ მოჰკლებია. კოლუმბიელის ახირებულმა ხასიათმა და გამომწვევმა ქცევამ უკვე ბევრს აუვსო მოთმინების ფიალა, უპირველესად მის შეფ ფრენკ უილიამსს. სერ ფრენკმა იგი უმკაცრესად გააფრთხილა, რომ მორიგი „გამოხტომის" შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაატოვებინებს გუნდს. ბოლო წვეთი გახდა კანადაში მონტოიას უკვე მერამდენე ავარია და ჟაკ ვილნევთან მისი ლამის ხელჩართული ჩხუბი. სამხრეთამერიკელი ვარჯიშზე უკნიდან შეეჯახა კანადელს და მანქანაც საგრძნობლად დაუზიანა, რასაც, ბუნებრივია, მოწინაალმდეგის მკვეთრი შენიშვნა მოჰყვა. ენამწარე ხუანი ვალში არ დარჩენილა და არანაკლებ აგრესიულად დაემუქრა, სხვა დროს რომელიმე კედელთან მიგაჭყლეტო. თან ის ტრაგიკული მომენტიც გაახსენა, როცა ავსტრალიაში ჟაკის ავარიის გამო ტრასის მარშალი დაიღუპა. გაცეცხლებული ვილნევი მონტოიას ყელში სწვდა, მაგრამ დროზე გააშველეს. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობამ ორივენი სასტიკად გააფრთხილა, რომ თუ მათი დაპირისპირება გაგრძელდება, სულ მცირე ორ-ორ რბოლიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდებათ.

„საევროპო" ტესტებზე ყველა პილოტმა როდი შეძლო სრულყოფილად მომზადება. გარდა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენისა, რომელმაც თავის ტრავმის გამო მონრეალის რბოლა გამოტოვა, იმავე მიზეზით ვარჯიშები გაუცდათ ედი ირვინსა და ნიკ ჰაიდფელდს, თუმცა სტარტზე ალბათ მაინც გავლენ. გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი „ნიურბურგრინგის" რეკორდსმენი მიხაელ შუმახერია. მან სამჯერ მიაღწია წარმატებას და ყველაზე მეტი — 36 ქულაც დაუგროვდა. ჰაკინენის აქტივშია სამი პოდიუმი და 22 ქულა. შემდეგ მოდიან ოთხგზის პრიზიორი კულჰარდი (18), ვილნევი (14), რუბენს ბარიკელო (12), ჟან ალეზი, იარნო ტრული და ირვინი 6-6.

ბოლოს კიდევ რამდენიმე ცნობა სტატისტიკის მოყვარულთათვის. ჩემპიონატის 23 მონაწილიდან ერთადერთი, ვინც ყველა რბოლაში ფინიშამდე მივიდა, 37 წლის ჟან ალეზი გახლავთ, ამასთან იგი რვაჯერვე ათეულში იყო. ამ არც ისე ჩქაროსნულ ტრასაზე უკანასკნელ სამ წელს პოულის მომგებმა მეორე დღეს რბოლაში პირველობა ვერ მოიპოვა. ასევე სამი წელია, იმ პილოტმა, ვინც შუა სეზონში სატურნირო ცხრილს სათავეში ედგა, უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და ტიტულიც დაისაკუთრა. ხვალინდელი დიდი პრიზი საიუბილეო, მეასე იქნება 34 წლის ოლივიე პანისთვის.

გუშინ ნიურბურგში პირველ ვარჯიშზე ყველას დევიდ კულჰარდმა აჯობა. მეორე ჰაკინენი იყო, შემდეგ მიხაელ შუმახერი და ბარიკელო. შესვენების მერე საღამოს როლები შეიცვალა — მეორე თავისუფალი პრაქტიკა ტრასის რეკორდით ჰაკინენმა მოიგო. კულჰარდს მეორე დრო ჰქონდა, ხოლო მიხაელისა და ბარიკელოს წინ რალფ შუმახერი ჩადგა. მის მეწყვილე მონტოიას მეექვსე შედეგი ალმოაჩნდა.

**გია ახალაძე**

# რუსებმა წააგეს

ბუდაპეშტში წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალი ახლოვდება. მასპინძელმა უნგრელებმა მეოთხედფინალში 10:9 მოუგეს რუსებს და შეჯიბრიდან გამოთიშეს. აქვე ითქვას და, სიდნეის ოლიმპიადის ფინალში უნგრელებმა ასევე რუსები დაამარცხეს. ფოტოზე კი ხედავთ, როგორ ებრძვის თეთრჩაჩიანი უნგრელი ატილა ვარი ქუთაისელ რევაზ ჩომახიძეს, რომელიც რუსეთის ნაკრების ღირსებას იცავს.


REUTERS ჰოლივუდიდან

# აქაც ვარსკვლავი

ეს ამოდენა მეჯიქ ჯონსონი, დიადი კალათბურთელი და შიდსის დამმარცხებელი, ჰოლივუდის დიდების ხეივანში, თავისი სახელობის ვარსკვლავთან გაგორებულა. ხეივანში მისი სახელობის ვარსკვლავის გამოჩენა კი იმას გამოუწვევია, რომ ჯონსონს დიდი წვლილი მიუძღვის კინოს პოპულარიზაციის საქმეში, რასაც ერთი მხრივ, შოუმენური ლაპარაკით, მეორეს მხრივ კი ახლებური კინოთეატრების გახსნით ახორციელებს.


REUTERS ბუდაპეშტიდან


REUTERS სიდნეიდან

# ლომი პლაჟზე

კვლავ ავსტრალია და კვლავ ბრიტანელი ლომები, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონობებს 30 ივნისს უნდა შეერკინონ ბრისბენში. კვლავ სიდნეი და კვლავ მოცალეების წუთები იქაურ ფრეშვოთერის პლაჟზე, სადაც „ლომი" ჯეისონ რობინსონი ფრენბურთით ერთობა.

# რბოლამდე

მორიგი საფორმულე კვირა ნიურბურგინგზე გაიმართება. ევროპის დიდი პრიზისთვის ქიდილს წინ საკვალიფიკაციო რბოლა უსწრებს, რბოლას კი გართობა. თუმცა, ფორმულელთა გართობაც ხომ ბორბლებთანაა დაკავშირებული. მოტოციკლზე ამხედრებულ წლევანდელი სეზონის ლიდერს, მიხაელ შუმახერს, მხარს კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია უბამს, რომელიც „ბეემვეს" სამთო ველოსიპედს ეჩალიჩება.


REUTERS ნიურბურგრინგიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge